К 3287
1а

ალ. ლოგინოვი

მეცნიერება

და

საზოგადო წერილი

3477

ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

ტფილისი
1923

2+215

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

К 3287/12

16 215 ლ-843

ანტონ ლუგინოვი

ვახინჯულია

მეცნიერება და საღვთო წერილი

ბ.ე. 2019-29118

Библиотека

ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

ტფილისი

1923

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგ. განყ. 1-ლი სტამბა, პლეხ. № 91. ტირაჟი 2000 ც.

ადამიანის ისტორიის პირველი ხანების ამბავი არავინ იცის და ამიტომ არც ის ვიცით, თუ რანაირი სარწმუნოება ჰქონდათ პირველ ადამიანებს. ზეპირ გადმოცემას მაშინდელ დროისა—ჩვენამდე არაფერს მოულწევია, ხოლო წერილობითს საბუთებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: იმ დროის ადამიანებმა სრულიად არ იცოდენ რა იყო წერა, ან ანბანი. ხოლო მაშინ, როდესაც ადამიანებმა წერა ისწავლეს—გვიანღა იყო: ძველი დროის კულტურისა თუ სარწმუნოების ამბის მთქმელი აღარავინ იყო ცოცხალი; აღარავის აღარა ახსოვდა რა პირველყოფილ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების თაობაზე. „როდესაც ადამიანებმა წერა ისწავლეს და იწყეს ჩაწერა წიგნებში თავის სარწმუნოებრივ თქმულებათა და გადმოცემებისა—ამ წიგნებში უფრო ის რწმენანი და შეხედულებები გამოიხატებოდა, რომელიც წიგნის წერის დროს არსებობდა, ვიდრე რწმენანი პირველყოფილ დროისა“ (სტეპანოვი: „ჩვენი ღმერთის წარმოშობა“, სახელ. გამ. მოსკ. 1919, გვ. 6).

რაიცა შეეხება იმ ერებს, რომელნიც უძველეს დროს ცხოვრობდენ და რომელთა შესახებ ისტორიას ცნობები აქვს—ეს ერები იმდენად „შორს იყვნენ წასულნი პირველყოფილ მდგომარეობიდან“, რომ მათს სარწმუნოებაში დარჩენილიყო მხოლოდ „ნაშთი“, ზოგიერთი ძველი რწმენის მხოლოდ ღა კვალი. ეს არც საკვირველია, ვინაიდან ამ ერებმა პირველყოფილ ეპოქის დროიდან განვლეს რამდენიმე „ათი ათასი წლები“.

ძველს ებრაელებს, ეგვიპტელებს, ბაბილონელებს უკვე „კარგად დაყენებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა“ ჰქონდათ. ისინი „აშენებდენ დიდ სიმაგრეებს, აკეთებდენ... საბრძოლველ და სამუშაო იარაღებს... ქვისა და ლითონისაგან“ (იქვე, იმ. წ.).

ყველაფერი ზემოხსენებული უკვე დიდი ნაბიჯია კულტურის გზაზე გადადგმული. რა უნდა ჰქონოდათ საერთო ამ ერებს იმ პირველყოფილ ადამიანთან, რომელიც ტყეში დანავარდობდა შიშველი, ვითარცა ტყის ნადირი, ცხოვრობდა გამოქვაბულსა და ხულაში, ბალახსა სძოვდა მინდვრად და პირისკენ მიჰქონდა ყველა მწვანილეულობა, რომელიც მას ხვდებოდა და რომელიც საჭმელად გამოადგებოდა? განა შეიძლება ამისთანა ადამიანს ჰქონოდა რაიმე „წარმოდ-

გენა ღმერთზე“, ქვეყნიერების დასაწყისსა და სხვა ბრძნულ საგნებზე? იმ დროს მას თავისი განუვითარებელი გონებით ისეთი უბრალო „სიბრძნეც“ კი ვერ შეეგნო, როგორიცაა შარვლის საჭიროება,—დადიოდა შიშველი და არც რცხვენოდა თავის სიტიტვლისა, მსგავსად პირუტყვისა. ან კი უნდა გვიკვირდეს ესა? მაშინდელი ადამიანი არც თავის ყოფა-ცხოვრებით, არც ჭკუით, არც სხვა რაიმე უნარით სხვა ცხოველებისაგან არაფრით განირჩეოდა. მისი შედარება ფარაო ნეჰაოს დროის კულტურულსან ეგვიპტელთან, ან მეფე ნავუქოდონოსორისა და სარდანაპალის დროის ბაბილონელთან—სასაცილო იქნება და თანაც სისულელე.

შედარებასა და რაიმე მსგავსების აღმოჩენას ერთი გარემოებაც აბრკოლებს. საქმე ისაა, რომ დღეს ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლიან „გამოვარჩიოთ ის რწმენანი, რომელიც ამა თუ იმ ტომს ჰქონია იმ დროს, როდესაც ჯერ სხვა ხალხს არ შეხვედროდა“—ე. ი. ის რწმენანი, რომელიც ამა თუ იმ ერს დამოუკიდებლად შეუქმნია—„იმ რწმენათაგან, რომელნიც სხვა ტომებისგან გადმოულია მას“ (იმ. წიგნში, გვ. 7).

ჩვენთვის ეხლა შეუძლებელია „გავიგოთ, თუ რა დარჩენილა უძველეს დროის რწმენათაგან რელიგიაში და რა შექმნილა... შემდეგს ხანებში. ვინაიდან არც ერთი ტომის განვითარება დამოუკიდებლად არ ხდება: ყოველი მათგანი, როცა განვითარების დაბალ საფეხურზე დგას, როდესაც შეხვდება თავისზე უფრო კულტურულსან ხალხს,—უეჭველად გადიღებს ხოლმე მისგან არა მარტო იარაღის ფორმასა და სხვადასხვა ზიზილ-პიპილებს, არამედ ზოგიერთ სარწმუნოებრივ ჩვეულებასაც“ (7).

ცხადია, არც ძველი ებრაელები ასცდენიან კაცობრიობის ამ საერთო ბედს და მათმა კულტურამ სხვა ტომების გავლენა განიცადა. ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამას ღვთისმეტყველნი და მღვდელმსახურნი დაჟინებით უარჰყოფენ; მათ ეს აზრი მავნებელ მწვალებლობად მიაჩნიათ. ისინი ოფლში იწურებიან იმის დასამტკიცებლად, რომ მათი სარწმუნოება არის ერთად-ერთი ჭეშმარიტი და მართალი მთელს ქვეყნიერებაზე; ჩვენი სარწმუნოებაო, ამბობენ ისინი, მთელი ჩვენი „საღმრთო სჯული“, თვით ღმერთმა უფალმა ჩვენმა ამცნო და მზა-მზარეულად გადასცა ფიცარზე დაწერილი მოსეს, სინას მთაზე შეხვედრის დროსაო. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ „ერთად-ერთი“ ჭეშმარიტი სარწმუნოება, ბოძებული თვით ღვთისაგან—ძალიანა ჰგავს წარმართთა სარწმუნოებებს და ან პირდაპირ გადმოღებულია მათ-

გან თუ თქვენ ასე ფიქრობთ—ეს ღვთის გმობად არის მიჩნეული. ამიტომ ღვთისმეტყველები უარყოფენ ყოველივე აზრს, ვითომ მოსეს და ქრისტეს სარწმუნოება გადმოღებული იყოს ვისგანმე, ან დროთა განმავლობაში რაიმე ცვლილება და განვითარება განეცადოს მას.

მაგრამ თანამედროვე ადამიანმა კარგად იცის, რომ ცხოვრება ყოველ ჟამს მოძრაობს, წინ მიდის, იცვლება და წინ მიდის ადამიანის მცნება და იდეებიც. რასაკვირველია, ამ მხრით არც სარწმუნოებრივი იდეები შეადგენს გამონაკლისს. თანამედროვე კულტუროსანმა ადამიანმა იცის, რომ „მთლად სამყარო და თვით იგი—მზა-მზარეულად არ გაჩენილა ქვეყნად, არამედ ყველაფერი ეს ნაყოფია ხანგრძლივი ისტორიული განვითარებისა“

„იზრდებოდა მრეწველობა, იზრდებოდა და ვითარდებოდა კერძო საკუთრება, იზრდებოდა ქალაქები, მისვლა-მოსვლის საშუალებანი, მანქანები. ვითარდებოდა მეცნიერება, მიწა, სამყარო მცენარეთა და ცხოველთა“—იზრდებოდა და ვითარდებოდა თვით ადამიანიც (იმ. წ. გვ. 9).

თანამედროვე ადამიანმა თავის თავის შესახებ და თავის მომავლის თაობაზე უკვე ბევრი რამ იცის. მან იცის, რომ ასი წლის შემდეგ ადამიანი სულ სხვანაირი იქნება. ასი წლის წინად კი ადამიანები ვერ წარმოიდგენდენ, თუ მომავალში ისეთი იქნებოდენ, როგორიც დღეს არიან.

თანამედროვე ადამიანმა იცის, რომ იგი რამდენისამე ათას წელთა წინად ისევე ნაკლებად ჰგავდა ახლანდელს ადამიანს, როგორც ნაკლებად ჰგავს მას მისსავე გვერდით მცხოვრები მაიმუნი. ადამიანმა იცის, რომ თავის ისტორიის განთიადზე—იგი სულ სხვანაირი იყო, ვიდრე დღეს არის. მისი თავი სხვანაირი იყო, ტვინი სხვაგვარი—მაშასადამე, არ ჰქონია ის უნარიანობა, ის აზრები და ფიქრები—დღეს რომ აქვს. მაშასადამე, არც მისი სარწმუნოება იქნებოდა იმ დროს ისეთი, როგორიც დღეს არის. ამნაირად, ვინც უარყოფს სარწმუნოების განვითარების შესაძლებლობას—იგი უარყოფს ისტორიის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს. ეს ერთი. მეორე ის, რომ მეცნიერებმა აღმოაჩინეს: „მრავალი რწმენანი და ზნენი ასურელებისა, ბაბილონელების, ეგვიპტელების, ფინიკიელებისა და ყველა იმ ხალხთა, რომელნიც ცხოვრობდენ ებრაელების მეზობლად—საოცრად მოგვაგონებენ ებრაელთა რწმენა-ჩვეულებებსაო“ (სტეპანოვი, „ჩვენი ღმერთის წარმოშობა“, გვ. 8).

იქნებ წარმართებმა თავისი სარწმუნოება ისესხეს უფლისა ჩვენისა საბაოთისაგან? მაგრამ „ზემოხსენებულ ხალხებს ებრაელებზე ბევ-

რად ადრე ჰქონდათ თავისი სარწმუნოება. მაშასადამე, თუ გადმოღებაზე იქნება ლაპარაკი—ყოველ შემთხვევაში არა მესოპოტამიის ხალხებმა გადიღეს თავისი სარწმუნოება ებრაელთაგან, არამედ პირიქით, ჭეშმარიტი ღვთის შვილებმა გადმოიღეს თავისი სარწმუნოება წარმართთაგან. მაშასადამე ღვთისმეტყველთა რწმუნება: „ძველ ებრაელთა სარწმუნოება უცვლელი იყო დასაბამითგანაო“ და ჭეშმარიტ ღმერთის შვილებმა—იგი მიიღეს იმ სახით, რანაირადაც იგი არსებობდა ქრისტემდეო“—ეს რწმუნება,—უვიცთა და ისტორიის უმეცართა გამოგონილი ტყუილია. ღვთის მეტყველნი და ხუცესნი საღმრთო წერილისადმი დიდს პატივისცემას მოითხოვენ. ყოველ მის ასოს ემონებიან და ღვთის გმობად მიაჩნიათ მისი გაკრიტიკება. მაგრამ მეცნიერებას, გარდა ჭეშმარიტებისა, არაფერი აქვს წმიდა და სათაყვანებელი. ცოდნაა მისი მიზანი, კრიტიკა—საამისო საშუალება. ყველაფერი, რაც კი მეცნიერებას ხელთ მოხვდება საანალიზოდ ლაბორატორიაში იგზავნება, სულ ერთია—ლითონი იქნება, მცენარე თუ ცხოველი. თვით ღმერთი „უხილავი“ და ყოვლად შემძლებელი,—მიკროსკოპს ქვეშ მოხვდებოდა, მაგრამ ვაი, რომ მისი კვალი არსად და არასოდეს გამოჩენილა ბუნებაში.

დამოუკიდებლად ყოველგვარ კერპებისა, წმიდათა-წმიდათა, დამოუკიდებლად ყოველგვარ ღვთის გამოცხადებათა, წინასწარმეტყველებათა, დამოუკიდებლად ადამიანის სურვილების, იმედებისა და მისწრაფებათა—მეცნიერება მტკიცე ნაბიჯით მიიმართება წინ, ჭეშმარიტებისკენ, იმის შეცნობისკენ, რაც არსებობს. არაფრის წინაშე არ შედგება იგი, არაფრისა შეეშინდება, არაფერი გაუკვირდება, არაფერს გაიხდის თავის კერპად. იგი ჩამოიბერტყავს ფანატიკოს ადამიანთა შეშლილი გონების, მეოცნებეთა გახურებული ფანტაზიის მიერ შექმნილ ილიუზიების „მტვერს“, რომელიც შეიცავს არსებულის რწმენას, რწმენას, რომელიც ადამიანებს გონებას ურევს და აბრმავებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ფაქტებს.

ღვთისმეტყველები ამტკიცებენ: მართლმადიდებელი სარწმუნოება—მარადის და უკუნითი უკუნისამდე ერთი და უცვლელი იყოვო. და თუ რომელიმე შვილი ადამიანისა, თავის მურტალი ხელით შეეხება „მცნებათა უფლისათა“, მოინდომებს მათ შეცვლას და შესწორებას—ანათემა მას, წყეულიმც იყოს იგიო.

მაგრამ ერთი ვკითხოთ ამ ვაჟბატონებს, ნებას იძლეოდა თუ არა ძველი სარწმუნოება ღმერთის გამოხატვისას?

არა. ეს ფრიად სასტიკად იყო აკრძალული: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი გამოქანდაკებულნი“. არცა მსგავსნი უფლისა, რამეთუ

„ვინ არს ვითარ შენ უფალო“, ამბობს წინასწარმეტყველი იერემია (X, 6). „ამათ იტყვის უფალი, გზათაებრ წარმართთასა (წარმართების გზას) ნუ ისწავებთ... სასჯელნი წარმართთანი (ჩვეულება, წესი წარმართებისა) ამაოებაა: ძელთა (ხეები) არს მოკვეთილი მაღნარით (ტყეში მოჭრილი), ქმნილი ხუროსა (დურგლის მიერ გაკეთებული) და გამონადნობი ვერცხლითა და ოქროთა შემკულნი არიან: კვერთხებითა (ურითი, ჩაქუჩით) და სამსჭვალებით (ლურსმნებით) განამაგრნეს იგინი და არა შეიძრნენ“ („წინასწარმეტყველება იერემიასი“ X. 2—4).

ისინი ურთ ადგილას დგანან (კერპები), „აღხუმით აღიხვანან იგინი (ხელით დააქვთ ისინი), რამეთუ ვერ ვლენენ“ თვითონაო (იქვე, 5).

ყველაფერი ეს გაკეთებულია „ხუროთა და ხელთა ოქრომჭედლისათა“ (იქვე—9).

ყველაფერი ეს „ამაოთანი ძელი არის“ (8). ყველა მათგანი სისულელეა და სხვა არაფერიო.

ნუ გეშინიანთ მათი (გაკეთებული ღმერთებისა), „რამეთუ ბოროტი ვერ ქმნან, და კეთილი არა არს მათ შორისო“ (იერემია—5).

მათ არც ქურდებისგან თავის დაფარვა შეუძლიანთ. ეს ღმერთები ხისანი არიან, ოქროთი და ვერცხლით მოვარაყებულნიო.

ქურდები მათზე ძლიერნი არიან. ხსნიან მათ ოქრო-ვერცხლს და მიაქვთ—ეს ღმერთები კი თავის თავს ვერ შველიანო (57).

როგორც ბოსტანში გაკეთებული საფრთხობელა ვერაფერს დაიცავს, ისე ეს ოქროთი მოვარაყებული ხის ღმერთები ვერას გახდებიანო (69).

„სირცხვილეულ იქმნა ყოველი ოქროსმჭედელი წახნაგებულთა თვისთა ზედაო“, დასძენს წინასწარმეტყველი (X—14).

„სირცხვილეული“, „ამაო“, ბოსტნის საფრთხობელა—აი, რას უწოდებს წინასწარმეტყველი იერემია იმ ხატებს, რომელიც ოქრო-ვერცხლით მოუჭედიათ და მართლმადიდებელთა ეკლესიისთვის თავზე მოუხვევიათ. ნურც კარგს, ნურც ავს მათგან ნუ მოელითო, ამბობს წინასწარმეტყველი, მართლმადიდებელი ეკლესია კი მათ სასწაულთმომქმედადაც კი აღიარებს.

ვინ ასწავლა ხუცებს ეს სამარცხვინო და „უაზრო“ საქმე ეკეთებინათ? პირველი ქრისტიანები, როგორც ვიცით, ხატებს არ აკეთებდენ.

არავის არ უსწავლებია ხუცებისათვის ესა. ყველაფერი მათი მოკლე ჭკუის ნაყოფია, წარმართებისგან აქვთ გადმოღებული.

787 წელს, უკანასკნელ მსოფლიო კრებაზე, დიდი შეხლა-შემოხ-ლისა და კამათის შემდეგ—ხუცებმა გადასწყვიტეს მართლმადიდე-ბელთა ეკლესიაში დაემკვიდრებინათ ეს წარმართული, მაგრამ სამღვდე-ლოებისათვის სასარგებლო ჩვეულება. შვიდასი წელი კამათობდენ და ბოლოს, ხმის უმრავლესობით გადასწყვიტეს მოციქულთა მცნე-ბანი წარმართულ ყაიდაზე შეეცვალათ.

ღვთისმეტყველთა აზრით, ღმერთი ძველის ებრაელებისა, „ღმერთი აბრაამისა და ისააკისა“, „ღმერთი ისრაელისა“ არის ერთად-ერთი ჭეშმარიტი ღმერთი.

თუ ასეა, რომელ „ღმერთებზე“ ელაპარაკება ღვთისნიერი მამათ-მთავარი ჩვენი იაკობ ბიძას თავისას ლაბანს, რომელიც თავის ძმის-წულს ბრალს სდებდა: „რად მოიპარენ ღმერთნი ჩემნიო“ („შ.“ 31—30). რაღაც უცნაური ღმერთები კი ყოფილან სწორედ! რაქილს, ცოლსა იაკობისას, შეუდევს ეს ღმერთები „პალაანთა ქვეშე აქლემ-თასა“ და რაც უფრო საკვირველია: „და დაჯდა მას ზედაო“—ნათ-ქვამია საღმრთო წერილში. ეს რანაირი ღმერთებია, რომელთა მო-პარვა, ტომარაში ჩადება და დამალვა ყოფილა შესაძლებელი? ამ ღმერთებს კი, როგორც ეტყობა, დიდად თაყვანს სცემდნენ ძველი ისრაელები; ღვთისნიერი ლაბანი და რაქილი, ასული მისი და ღვთი-სგან ამორჩეული ცოლი იაკობისა—ადიდებდენ და თაყვანს სცემ-დენ მათ. თვით იაკობსაც, როდესაც გაიგო ლაბანისაგან „ღმერთე-ბის“ შეტყაპუნების ამბავი, სრულიად არ გაჰკვირვებია და ბიძას თანაგრძნობა გამოუცხადა: თუ კი ქურდი ვპოვე, უეჭველად მოვკლავო („შ.“ 31—32).

თვით წმიდა დავით მეფის სახლშიაც კი იყო ასეთი ღმერ-თები—კერპნი. ამას ნათლად მოგვითხრობს „წიგნი მეფეთა“. საულმა გაგზავნა თავისი მსახურნი დავითთან და უბრძანა: მოიყვანეთ ჩემთან ლოგინით იგი და მერე მოჰკალითო. დავითის ცოლი მელქოლა კი მოხერხებული აღმოჩნდა: ჯერ მელქოლამ „გამოქანდაკებული, და დადვა სარეცელსა ზედა... და დაჰფარა იგი სამოსლითა“ („წ. მეფ.“ 1. თ. 19, გ. 13).

მხოლოდ შენ ხარ უფალო, ერთი და განუყოფელიო—ამბობს ეკლესია. ჩვენ კი აღმოვაჩინეთ, რომ ისრაელებს მარტოოდენ ერთი ღმერთი, როდი ჰყოლიათ.

თვით საღმრთო წერილის მოწმობით, ძველი ებრაელები, გარ-და თავის ღმერთ იაჰვესი, სხვა მრავალ ღმერთსაც სცემდენ თაყვანს: ისინი აღმერთებდენ „ოქროს ხბოს“, რომელიც თავის ხელით „გა-

მოუქმნა“ ისრაელებს მათმა მღვდელმთავარმა აარონმა (წ. „გამოსვლათა“ 32—4). თაყვანს სცემდენ „გველსა რვალისასა“ (ლითონისას), რომელიც თვით წინასწარმეტყველმა მოსემ აკურთხა (წ. „რიცხვთა“ 21—9) და მრავალს სხვას: წმინდა ცხოველებს (ეზეკიელი, VIII—10), ქვებს (იერემია, II—27) ხეებს (იერემია; III—13), თაყვანს სცემდენ ცეცხლს: „და შესწირვიდეს ძეთა თვისთა და ასულთა თვისთა ცეცხლსა შინა“ (მე-4 წ. „მეფეთა“—XVII—17) თაყვანს სცემდენ მზეს „ზურგთა მათთა ტაძრისა მიმართ უფლისა მქონებელნი და პირთა მათთა პირის პირ აღმოსავალად მიმართ“ (ეზეკიელ, VIII—16). არც მთვარე ჰყავდათ უპატივცემოდ, თაყვანს სცემდენ მას, ვარსკვლავებს და „ყოველსა ძალსა (მნათობს) ცისასა“ (წ. „მეფეთა“, IV—23—5). შესაწირავად არც ადამიანებს ინდობდენ (ეზეკ. XVI—20). ლოცულობდენ მოლოქს, ბაალს, ჰქონდათ ღმერთ-ქალ ასტარტეს სადიდებლად—„საძაგელსა სიდონინასა“—საროსკიპო სახლები ტაძრებთან ღვთისა (IV. „მეფეთა“ XXIII—7). თაყვანს სცემდენ ქამასს „საძაგელსა მას მოაბელთასა და მოლოქს—„საძაგელსა მას ძეთა ამონისთა“ (IV წ. „მ.“ XXIII—13), თაყვანს სცემდენ აგრეთვე „თერაფიმებს და კერპთა“ (მე-IV წ. „მეფ.“ XXIII—24). „რამეთუ რიცხვისამებრ ქალაქთა შენთასა იყვნენ ღმერთნი შენნი, „იუდა“—მწარედ უსაყვედურებს თანამემამულეებს წინასწარმეტყველი იერემია (II—28).

მაშ ასე, „ერთი“ ღმერთი არ ჰყოლია მხოლოდ იუდას. ერთნაირი შეხედულება არ ჰქონიათ ისრაელებს ღმერთზე, მის თვისებებსა და იმაზე, რა როლი ითამაშა მან ქვეყნის შექმნაში. არც იმაზე იყვნენ ერთის აზრისა, არის თუ არა ღმერთი ერთი, შემომქმედი და „ყოვლის მპყრობელი“.

ეტყობა, სწორედ ამ სხვა და სხვაობამ იქონია გავლენა „საღმრთო წერილის“ ავტორებზე და ამიტომ არის ასეთი ნაირ-ნაირობა მოთხრობისა, ქვეყნის შექმნის ამბის გადმოცემის სხვადასხვაობა. ცხადია, ცნება ერთღმერთიანებისა—ნაყოფია უფრო მერმინდელ კულტურისა. და თუ ერთღმერთიანობა ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული არ ყოფილა იერემიას დროსაც კი—რასაკვირველია მისი ხსენებაც არ იქნებოდა იმ დროს, როდესაც იწერებოდა საღმრთო წერილის პირველი ფურცლები.

საღმრთო წერილში „შექმნა ქვეყნისა“ ორგანაა აწერილი და ორივეგან სხვადასხვანაირად: „შექმნათა“ I წიგნის I და მე-II თავში. სულ ზერელედ რომ დააკვირდეთ ზემოხსენებულ მოთხრობას—ადვი-

ლად შეამჩნევთ: ერთი დაწერილია, როგორც ეტყობა, ისეთი ადამიანისაგან, რომელსაც ზღვის გარდა არაფერი უნახავს—ალბად რომელსამე კუნძულელის, ან ზღვის ნაპირას მცხოვრების მიერ, რომელსაც არა სცოდნია ხმელეთის ცხოვრება. ხოლო მეორე, ეტყობა, დაუწერია ისეთს ადამიანს, რომელსაც უდაბნოს გარდა არა უნახავს რა და წარმოდგენა არა ჰქონია არც მდინარეებსა, არც ზღვაზე.

პირველი მოთხრობა („შექმნ.“ I—I) იწყება შემდეგი სიტყვებით: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა, ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ, ბნელი იყო ზედა უფსკრულთა“. აქ სიტყვა „უფსკრულად“ გადათარგმნილია ძველი ებრაული სიტყვა „თეგომ“, რაიცა ნიშნავს „პირველყოფილ ზღვას“. მაშასადამე იმ დღეს, როცა ღმერთი ქვეყნის შექმნას შეუდგა—სამყარო წარმოადგენდა უნაპირო წყლის უფსკრულს, ბნელეთით მოცულს. ღმერთის უპირველესი საქმე იყო—მოესპო ეს ბნელეთი და გადეღვარა სადმე წყალი. სწორედ ამით დაიწყო სამყაროს შექმნა.

პირველად ღმერთმა შექმნა ნათელი და შემდეგ—სამყარო, ე. ი. მაგარი, ჭერის მსგავსი ცა—უფსკრულს ზემოდ. ამ ციურ სახურავზე ამოიყვანა წყალი, რომელიც იყო „ქვეშე სამყაროსა“, ე. ი. მიწაზე. სწორედ ასეა ნათქვამი: „და განჰყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელიც იყო ქვეშე კერძო სამყაროსა და შორის წყლისა, რომელი იყო ზედა კერძო სამყაროსა“. (I, 7).

როდესაც „ქვეშე სამყაროსა“ წყალი ცოტა დარჩა, ღმერთმა უბრძანა მას: „შეკრბით წყალი... შესაკრებელსა ერთსა“ (I, 9). მაშინ წყალი შეიკრიბა „შესაკრებელსა ერთსა“ (ერთ ადგილას) და „გამოსჩდინ ხმელი“ (ხმელეთი). ღმერთმა აღმოაცენა ხეები, მწვანილეულობა და ბუჩქები (I—11—13), შეჰქმნა მნათობნი ცისანი (I—14—19) და იწყო შექმნა ცხოველებისა: ჯერ შეჰქმნა თევზები, შემდეგ ფრინველნი და აკურთხა რა ისინი, უთხრა: „აღორძინდით და განმრავლდითო“ (I—22). ასე მიდიოდა ერთი კვირის მუშაობა. მხოლოდ მეექვსე დღეს მოაგონდა ღმერთს ხმელეთის ცხოველები და შეჰქმნა „ოთხფეხნი, ქვეწარმავალნი და მხეცნი“ (24). ხოლო აკურთხა რა ღმერთმა ადამიანი, უთხრა: „მთავრობდით თევზთა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა... და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა“ (28).

მაშასადამე, საღმრთო წერილის სიტყვით, ღმერთმა ადამიანი აკურთხა მხოლოდ საუფლოდ—თევზების, ფრინველების და ქვეწარმავალთა—ე. ი. მუცლით მხოხავთა. რატომ არ აკურთხა ღმერთმა ადა-

მიანი სამფლობელოდ— ოთხფეხთა, შინაურ პირუტყვებისა? მართალია **ფრჩხილებში** მოქცეულია სიტყვები „და ყოველთა პირუტყვთაო“, მაგრამ აქ საქმე სხვანაირად არის. „უწმინდესმა სინოდმა“ რუსეთისამ—როდესაც ბიბლია (დაბადება) გამოსცა 1892 წ.—განაცხადა: ფრჩხილებში მოქცეული სიტყვები გადმოღებულია ბერძნულ მთარგმნელთა ტექსტიდან, ძველ-ებრაულ ტექსტში ეს სიტყვები არ არის. საიდან გაჩნდა ეს სიტყვები ბერძნულ თარგმანში? ცხადია, როდესაც ბერძნები საღმრთო წერილს სთარგმნიდენ მათ თავის ქეიფის მიხედვით ჩაურთავთ იგი ტექსტში.

მართლმადიდებელი ეკლესია ამბობს—საღმრთო წერილს საღმრთო იმიტომ ჰქვიან, რომ იგი თვით ღმერთის დაწერილიაო. ეხლა კი ჩვენ ზემოხსენებულიდან დავრწმუნდით, რომ მართალია ღმერთი თვითონ „სწერდა“, მაგრამ ცოტას ბერძნებიც ეხმარებოდენ. დაავიწყდა უფალს—ეკურთხებინა ადამიანი შინაურ პირუტყვთა სამთავროდ—ცქვიტმა ბერძნებმა კი უშველეს მას, ღმერთს შეცდომა გაუსწორეს, თორემ იგი ძალიან ცუდს მდგომარეობაში ჩავარდებოდა. მაგრამ. რატომ დაავიწყდა ღმერთს შინაური პირუტყვები? რასაკვირველია იმიტომ, რომ შინაური პირუტყვი მებადურს არ სჭირდება. რად უნდა მებადურ ხალხს ხარ-კამეჩი, აქლემი? მებადური არა ხნავს და არა სთესს. ზღვის ნაპირას მოსახლე ხალხი კი, როგორც ეტყობა, გარდა მებადურობისა—სხვა არაფერ საქმეს ეწეოდა და არც ჰქონდა საამისო საშუალება. რაც აგონდებოდათ—ის ესიზმრებოდათ—ეს ხომ ყველასათვის გასაგებია. ცხადია, მებადურთა ღმერთს იმაზე უნდა ელაპარაკნა, რაც მებადურისათვის ყველაზე საინტერესო იყო, რაც ყოველთვის „აგონდებოდა“: მებადურთა ღმერთს—მებადურისავე ფსიხოლოგია ჰქონდა. სწორედ ამ მებადურული ფსიხოლოგიით არის გაჟღენთილი საღმრთო წერილის პირველი მოთხრობა ქვეყნის შექმნის შესახებ.

ასეა აწერილი ქვეყნის გაჩენის ისტორია „შექმნათა“ წინის I თავში. მეორე თავში სულ სხვაა. თურმე არავითარი უფსკრული, არავითარი ბნელეთი არ ყოფილა. არავითარი ნათელი, არავითარი მნათობნი ღმერთს თურმე არ შეუქმნია. ამ შექმნის შესახებ „შექმნათა“ წიგნის მე-II თავში კრინტი არაა დაძრული. და იმ დღეს, როდეს ღმერთმა იწყო საქმიანობა—ცა და ქვეყანა თავის ადგილას იყო უკვე, ულრუბლო ცაზე მზე კაშკაშებდა და მიწას უწყლოდ ახურებდა. შიშველი იყო დედა-მიწა: გამხმარიყო არა მარტო ბალახი, არამედ ბუჩქიც არსად იყო მაშინ ქვეყნად (II—5). ეს იმიტომ მომხდარიყო,

რომ თურმე „არღარა ეწვიმა უფალსა ღმერთსა ქვეყანასა ზედა“; ხოლო მორწყვა მიწისა არავის შეეძლო, ვინაიდან „კაცი არ იყო მოქმედად ქვეყანისა“ (მიწის მუშად—II—5). აი, თურმე რა აზრისა ბრძანდება ადამიანზე ავტორი ამ მეორე მოთხრობისა: უადამიანოდ მიწა ნაყოფს ვერ გამოიღებსო. მიწის უნაყოფობის ერთად-ერთი მიზეზი—ადამიანთა არ ყოფნა არისო, ვინაიდან განაყოფიერების ხერხი მხოლოდ ერთი სცოდნიათ მაშინ—ხელოვნური მორწყვა. სადაც ადამიანი არაა, რასაც იგი არ მორწყავს, იქ არა იხარებს რაო. „სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ“—ნათქვამია საღმრთო წერილში. ადამიანს ლაპარაკზე ადვილად შეატყობთ, თუ ვინ არის იგი.

თუ ადამიანი ლაპარაკობს: მიწის უნაყოფობის მიზეზი ისაა, რომ არ არის „მომქმედი ქვეყანისაო“—თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ „ამისთანა აზრისა შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ხალხი, რომელიც სცხოვრობს უწყლო ქვეყანაში და უკვე ხვნა-თესვას მისდევს“ (სტეპანოვი, გვ. 12). და მართლაც: ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არ მიწის მუშა, ისეთი ადამიანი, რომელიც ჰფიქრობდა: ყველა ადამიანთა დანიშნულება მიწის დამუშავებაა? ცხადია, ვინც ამას ფიქრობდა და ლაპარაკობდა, თვითონაც მიწის მუშა, მხვნელ-მთესველი იქნებოდა. მის სიტყვებში აშკარად სჩანს სოფლის მეურნე.

საღმრთო წერილის პირველ მოთხრობის მიხედვით—ღმერთმა ჯერ ცხოველები შეჰქმნა, მერე ადამიანი. მეორე მოთხრობის ავტორის თვალსაზრისით—ეს დიდი სისულელეა. ხომ შიმშილით დაიხოცებოდენ უდაბნოში ცხოველები, თუ კი ადამიანი არ იქნებოდა და ხელოვნურად არ მორწყავდა მიწასაო. მაშასადამე ადამიანის გაჩენამდე ცხოველები არც ყოფილან და არც შეიძლება ყოფილიყვნენო.

რაიცა შეეხება თევზებს—მეორე მოთხრობაში მათ შესახებ კრინტიც არ არის დაძრული. მაშასადამე ღმერთს არავითარი თევზები არ შეუქმნია. რომელს დაუჯეროთ? პირველს თუ მეორე მოთხრობას? რომელია მართალი და რომელი ტყუილი? რანაირად გაჩნდა ასეთი აბდა-უბდა „საღმრთო წერილში“, რომელიც თურმე თვით ღმერთს დაუწერია? ნუ თუ ღმერთს დავთარი აერია?

საითაც უნდათ, იქით გამოაბამენ ქოთანს ყურს.

პირველი თავის ავტორი—მებადური, ამბობს: ღმერთმა ყველაზე დიდი ყურადღება ზღვას მიაქციაო. მეორე მოთხრობის ავტორი კი ამტკიცებს: ღმერთს საქმე მიწასთან ჰქონდაო: „ქვეყანისგან“ (მიწისგან) შეჰქმნა „ღმერთმან ყოველნი მხეცნი ველისანი“ (II—19) და „შექმნა ღმერთმან კაცი მტვერისა მიმღებელმან ქვეყანისაგანაო“ (მიწისაგან—II—7).

თვით პროცესი შექმნისა—მეორე მოთხრობის ავტორის მიხედვით სულ სხვანაირად მიმდინარეობდა, ვიდრე პირველი ავტორის მიხედვით. პირველ თავში ადამიანი შეჰქმნა სიტყვამან ღვთისამ, ყოვლად შემძლებელ საბაოთის ენის ერთმა მოტრიალებამ. აქ კი უფალი თავისი ხელით ჰქმნის ადამიანს. ჯერ ხელით აკეთებს თიხისაგან კაცს, შემდეგ იწყებს „შთაბერვას პირსა მისსა სულის ცხოველისას“—და ამ მუშაობას ღმერთი თავს არ ანებებს, ვიდრე „არ იქმნა კაცი სულად ცხოვლად“ (II—7). რისთვის დასჭირდა ღმერთს, ყოვლად შემძლებელს, თიხით გათითხნილიყო, ეზილა იგი, გაეკეთებინა კაცი, პირში შთაებერა? რად იწუხებდა იგი თავს, რატომ იღლიდა მკლავებს; განა არ შეეძლო ყველაფერი გაეკეთებინა თავისი ერთი ბრძანებით: „იქმენინ ადამიანი“, „იქმენინ ადამიანი ქვეყანასა ზედა?“ ეტყობა ძველი ადამიანის გონებას, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შერყვნილი ხუცესთა სიბრძნით—ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლება არაარაისაგან რისამე შექმნა; სისულელედ მიაჩნდა ამისთანა აზრი და ამიტომ იგი ღმერთს ამუშავებს, რომ მან თიხისგან შექმნას „ხატად თვისად“ ადამიანი. ახლა რა ვუყოთ, რომ ღმერთს თიხაზე უფრო შესაფერი, უკეთესი მასალა არ მოეპოვებოდა ადამიანის შესაქმნელად?

ღვთის ყოვლად შემძლებლობის შესახებ პირველყოფილი ადამიანი ცოტა სხვა აზრისა გახლდათ, ვიდრე მეოცე საუკუნის ანაფორიანი ველურები. ეტყობა, მას აზრადაც არ მოსდიოდა ის სისულელეები, რასაც დამშვიდებული სინიდისით ჰქადაგებენ ჩვენი დროის „სწავლულნი“ მოციქულნი ბნელეთისა.

ერთი სიტყვით, ადამიანის შექმნის ამბავი საღმრთო წერილში დავთარ-არეულად არის მოთხრობილი. ვერ მიხვდებით, მარტოოდენ ენით შექმნა ღმერთმა ადამიანი, თუ ორთავე ხელის მოშველებით. რასაკვირველია, შეუძლებელია, ორივე მოთხრობა მართალი იყოს. თუ მართალია პირველი, ტყუილი იქნება მეორე და პირიქით. თუ მეორე მოთხრობა მართალია, პირველი იქნება ტყუილი. ყოველ შემთხვევაში, აქ უსათუოდ ან ერთგან, ან მეორეგან ტყუილია ჩარტყმული. გამოდის, რომ თუმცა საღმრთო წერილი ამბობს—ადამიანი ღმერთმა გააჩინაო, მაგრამ არავინ იცის—რანაირად გაუჩენია იგი უფალსა. მაშასადამე, წმინდა წიგნი, შემცველი საღმრთო ჭეშმარიტებისა—ისეთ რამეებზე ლაპარაკობს, რაც თვითონაც არ იცის: „თუმცა არა ვიცი რა, მაგრამ პასუხისმგებლობას ვკისრულობო“, ამბობს ის. დაე ასე იყოს.

მაგრამ როგორც კი ქვეყნად გაჩნდა ადამიანი, რომელიც ღმერთმა გააჩინა „ხატად თვისად“ თიხისაგან და თიხისავე ტვინი მისცა—

მაშინვე დალონდა: თუმცა მრავალი ცხოველია ქვეყნად, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ არის „ადამისთვის... შემწე, მსგავსი მისი“ (II 20). განა თუ გულკეთილი და მორჩილი არ არის, მაგალითად, დათუნია, მაგრამ ამ ბანჯგვლიანის კომპანიაში ადამი ძალიან მოწყენილი იყო. „ეჰ, კიდევ უნდა შევქმნა რაღა!“—გაიფიქრა უფალმა ღმერთმა. არ მეყო ტალახში თითხნა, თიხის ზელა, სულის ჩაბერვა! ეხლა კიდევ ხელახლა უნდა დავიწყო ეს ოხერი, ესა! ეჰ, რას ვიტკიებ თავს, რასა ვბორგავ; მოდი. უფრო საადვილო რასმე ვიზამო—გადასწყვიტა ღმერთმა. რა კარგი იქნებოდა ადამიანის სხეულს ვიშოვნიდე, სულის ჩაბერვას რა უნდა, ერთი წუთის საქმეაო—ჰფიქრობდა უფალი. მაგრამ სად იყო ასეთი სხეული: ქვეყნად ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ადამიანი იყო. ხურგიდან ამოვჭრა ხორცი—მუშაობას ველარ მოახერხებს. ხელი მოვტეხო, ან ფეხი—ესეც არ ივარგებს. მოდი ნეკნებს ჩავუმტვრევ ადამს,—ნეკნები ხომ ბევრი აქვსო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დაანებებდა კი ადამი ღმერთს—მისთვის ნეკნები ჩაემტვრია და ძვალი ამოეღო? მაგრამ ღმერთმა ხერხს მიმართა: „და დასდვა ღმერთმან განკვირვება ადამს ზედა და დააძინა“ (II/21). საქმე გაკეთებულია, ეხლა ხომ ვერსად გამექცევა, წინააღმდეგობას ველარ შესძლებსო—ჰფიქრობდა ხელის ფშვნეტით ღმერთი. მართლაც გამოულო გვერდიდან ძვალი და შეუქმნა ადამს ცოლი, ხოლო გაჭრილი გვერდი „აღუვსო ხორცითა მის წილ“ (II/21). როგორც კი თვალი გაახილა ადამმა, დაინახა თავისი ცხოვრების თანამგზავრი, ზიზღით ახედ-დახედა და სთქვა: „ჰმ, განა ესეც კაცია... ეს მხოლოდ ნაწილია კაცისა. ამიერიდან ივი უნდა იწოდებოდეს არა ადამიანად—არამედ „კაცისაგან გაკეთებულად“—ე. ი. „იშშია“—გაკეთებული კაცისაგან. „იშ“ ძველ-ებრაულად „კაცს“ ნიშნავს. სწორედ ასეა საღმრთო წერილის დედანში ნათქვამი: „ამას ეწოდოს ცოლ, რამეთუ ქმრისა თვისაგან გამოიყვანა ესეო“ (II/23)—ეს ყალბად ნათარგმნია ძველ ებრაულიდან, ტექსტის გადამახინჯებაა.

არს ესე „ძვალი ძვალთა ჩემთაგანი“ (II/23) და სხვა არაფერი—სთქვა ადამმა.

შეხეთ ერთი ამას—ესეც რომ ადამიანობასა სჩემობს? ვინა გდია, რა არის იგი? რაღაც კოჭის მსგავსი ძვალი, არაფრის მაქნისი; მე უმისოდაც კარგად ვიცხოვრებდი! ის ღა მაკლია—ყოველმა ნაგავმა ადამიანობა მოინდომოს. არა, უკაცრავად, ვერ მოგართვესო—განაგრძობდა ფიქრს ადამი.

და იწყო კაცმა დაცინვა ქალისა. მაშინ გაჩნდა, საზიზღარი, ხულიგანური ანდაზა: „ქათამი ფრინველად ვერ იწოდების, ქალი ადამიანადაო“.

მაინც და მაინც არც თუ თვით ღმერთს ჰყვარებია ქალი. როდესაც პირველი ადამიანები სამოთხიდან გამორეკა, გაცხარებულმა ღმერთმა თავი ველარ შეიკავა და ქალი ასე დასწყევლა: „განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქმანი შენნი, მწუხარებით შვენე შვილნი შენნი და ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი და იგი გეუფლებოდეს შენ“ (III/16). ღმერთმა ევა იმიტომ კი არ დასწყევლა, რომ მან დაარღვია აღთქმა და ღვთის ბრძანებას არ დაემორჩილა, არა, ღმერთს წამოსცდა ის, რაც გულში ედვა: მე შენის ცოდვებისათვის კი არ მეზიზღებიო, ეუბნება იგი მას, არამედ იმიტომ რომ ქმრისაკენ მიდრეკილება გაქვს, შენი დედობრივი გრძნობებისათვის დაგტანჯავ და გამწუხარებო. შენს სხეულს ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ და საშინლად ვაწამებ, ოდეს შენ „შვებ შვილთა შენთა“ — იმისთვის, რომ შენ გიყვარს ისინი, გიყვარს ქმარი და ყოველთვის მისკენ მიიწევო.

ამნაირად, ქალისადმი უხამსი მოპყრობის მაგალითი თვით ღმერთმა მოგვქცა.

განა საკვირველია ამის შემდეგ, ჩვენი დროის მხეცებს და ოჯახის მტარვალებს—პრინციპად რომ გაუხდიათ ქალისადმი უხამსი მოქცევა და სათნოებად მიაჩნიათ ქალისათვის მაღლიდან ცქერა:

„დედა-კაცი—მონაო“.

„დედა-კაცი—მოსამსახურეა“. „დედა-კაცი—სულელია“. „თმა გრძელი და ჭკუა მოკლე“.

„ქალის ჭკუაზე გავლა“, ქალთან ბჭობის გამართვა—კაცისთვის სირცხვილად და ღამცირებად არის მიჩნეული.

პავლე მოციქული ამბობს: ქალის სულელურ ლაპარაკს ნუ აჰყვებიო.

მაშასადამე, ქრისტეს წმინდა მოციქულს უსწავლებია ჩვენი ხულიგანებისთვის ქალს დამამცირებელი სახელი „გომბიო“ და სხვა-უწოდონ.

რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ღმერთი კაცს ასეთს დარიგებას აძლევს; „ამისათვის (ქალისთვის) დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს (შეუერთდეს) ცოლსა თვისსაო“ (II/24). სალმრთო წერილის ეს ადგილი სრულიად ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას ქალზე, რომლის მიხედვითაც იგი ადამიანის უმნიშვნელო ნაწილია მხოლოდ, მდაბალ არსებად არის მიჩნეული.

კანონმა, რომლის მიხედვითაც კაცი სიდედრის სახლში შედიოდა, ჩაუსიძევდებოდა ხოლმე—დიდი ხანია ჩაილულის წყალი დალია. ეხლა, საზოგადოების განსაზღვრულ წრეებში—ოჯახის უფრო-

სად კაცი ითვლება, ხოლო ცოლი შორდება თავის დედმამის სახლს და ქმარს „შეეყოფა“ (შეუერთდება) ხოლმე. სხვანაირი იყო საქმის ვითარება მაშინ, როცა პირველობა ქალებს ეკუთვნოდა. და საღმრთო წერილის ამ რამდენიმე სტრიქონში, რომელიც მოითხოვს ქმრისაგან—„შეეყავი ცოლსა შენსაო“—გამოსჭვივის პირველყოფილ დროის, ეგრედ წოდებულ „მატრიარხატის“ გავლენა.

აზრი, რომ ებრაელებში უძველეს დროს უფლებამოსილნი მარტოოდენ ქალები იყვნენ—მტკიცდება იმითაც, რომ, როგორც ეტყობა, „შვილი თავის გვარს იღებდა არა მამისაგან, როგორც ეს მერმინდელ დროს ხდებოდა—არამედ დედისაგან“ (სტეპანოვი, „ჩვენი ღმერთის წარმოშობა“, გვ. 20).

მაინც საკითხავია: საიდან გაჩნდა ებრაელებში მსგავსი ლეგენდები? თუ წარმოდგენა უდაბურ, ყოველგვარ მცენარეულობას მოკლებულ, მზით დამწვარ ველების შესახებ—„შესაძლებელი იყო გაჩენილიყო მხოლოდ უწყლო ქვეყნებში,—„ქანაანის დაგოლვილ ვაკეგორებზე“, ცხადია, რომ წარმოდგენა უშველებელ პირველყოფილ ზღვის შესახებ, ზღვისა, რომელიც მთელ მსოფლიოს ერტყა გარს“—შეუძლებელი იყო ქანაანელებს ჰქონოდათ. „ამ წარმოდგენათა სამშობლოდ შეიძლება ჩაითვალოს არა ქანაანი, არამედ ზღვის ნაპირა ადგილები და უფრო კი თვალუწვდენელ ზღვის სივრცეში გადაკარგულ კუნძულებზე“ (სტეპანოვი, გვ. 15). და თუმცა ებრაელებს არასოდეს არ უცხოვრიათ კუნძულებსა და არც ზღვის ნაპირა ადგილებზე—მაგრამ ეს „საზღვაო ლეგენდები“ მათ **გადმოიღეს** მესოპოტამიის ბაბილონელებისაგან, რომელთაც თავის მხრით ეს ლეგენდები „გადიღეს“... შუამდინარის პირველყოფილ მცხოვრებ, მათ მიერ დაპყრობილ სუმერიელებისაგან (იმავე წიგნის გვ. 17). ამას ნათლად მოწმობს ის ლურსმული წარწერები, რომელიც ბაბილონის ნანგრევებში იქნა აღმოჩენილი. ბაბილონის სიძველეთა მკვლევარმა პროფ. გილპრეჰტმა, შეაგროვა რა ბაბილონის ნანგრევების გადათხრის დროს ნაპოვნი—წარწერიანი ქვის ფიცრის ნატეხები—აღადგინა ტექსტი სუმერიელების თქმულებისა წარღვნის შესახებ[1]). მანვე აღმოაჩინა, რომ ზემოხსენებული წარწერა გაკეთებულია ქრისტეს დაბადებამდე 22 საუკუნით ადრე. შეისწავლა რა ეს წარწერა, პროფ. გილპრეჰტი

---

[1]) სუმერიელები, ზოგიერთ მეცნიერთა აზრით—ქართველთა წინაპარ ტომებს—იაფეტიდებს ეკუთვნოდენ.

მთარგმნ.

დარწმუნდა, რომ „თქმულება მსოფლიოს წარღვნის შესახებ გადმოულიათ სუმერიელებისაგან და ეს თქმულება წარმოადგენს მხოლოდ თარგმანს სემიტურ-ბაბილონურ ენაზე“ (იმ. წ. გვ. 31). „სუმერიელთა მითის მიხედვით ქვეყნის შექმნის შესახებ“... საიდანაც გადმოულიათ აზრი... პირველყოფილ ზღვის თაობაზე — ეს ზღვა ღმერთს არ შეუქმნია — არამედ, თანახმად სუმერიელ-ბაბილონელთა რწმენისა — იგი **არსებობდა დასაბამითგანვე**“. მაშასადამე, საღმრთო წერილში, სიტყვები: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანაო“ — შემდეგ არის ჩამატებული, იმავე ღვთის სადიდებლად“ (იმ. წ. გვ. 21).

მაგრამ ცხადია, რომ ებრაელებს, როდესაც იწერებოდა წიგნი „შექმნათა“ — სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდათ ღვთის შესახებ, ვიდრე სუმერიელებს. საღმრთო წერილის ავტორებს ეს ვერ შეუმჩნევიათ და დომხალივით აურევიათ ყველაფერი. მკითხველი გაკვირვებულია და გაოცებით კითხულობს: როგორ, განა ეს შესაძლებელია? ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა ცა და ქვეყანა შექმნა და ეს ცა და ქვეყანა ისეთი გამოუვიდა, რომ კინალამ თვითონ ჩაეფლო ტალახში?

და სული წმიდამ ხელად გამოიბა ფრთები, ვინაიდან იძულებული იყო უფსკრულის თავს აქეთ-იქით ეფრინა! შეუძლებელია, „შეუძლებელია, რომ ყოვლად შემძლებელს ასეთი სისულელე ჩაედინოს“! ქვეყანა რომ ღმერთს შეექმნა — ქაოსი და ბნელეთი კი არ იქნებოდა, არამედ სამაგალითო წესრიგი!

ვინ ჰბედავს ყოვლად შემძლებელის შეურაცხყოფას? ვინ სთქვა — მან ქვეყნის მაგივრად, ქაოსი შეჰქმნა? ვინ ამბობს: მშვენიერი მაისის მაგივრად, როდესაც ბინდვლები ბბიბინებულია, ყვავილები იშლება და ფრინველნი ყლივყლივობენ — ღმერთმა შემოდგომის ტალახი გააჩინა, მუხლამდე წუმპეები დააგუბაო — ვინ, ვინ არის ამის მოქმელი, ამის გამბედავი?

არავის და არსად ეს არ უთქვამს. ყველაფერი უფლისა საკურთხევლის ღვთისნიერმა და ერთგულმა მსახურებმა გამოიგონეს შემდეგში. სუმერიელები სიცილით დაიხოცებოდენ — რომ გაეგოთ, ხუცებმა მოიგონეს: ღმერთმა ქვეყანა არარაობისგან, ერთის თავის ბრძანებით შეჰქმნაო. რასაკვირველია, მათ სჯეროდათ, რომ „ღმერთს ყველაფერი შეუძლიან“, მაგრამ იმისთანა სისულელეს, როგორიც არის არარაობისაგან რისამე შექმნა ენის ერთ მობრუნებით — ისინი ვერ შეურიგდებოდენ. ასეთი რისამე თქმა მხოლოდ სასაცილოდ ან სისულელით თუ ითქმის. ამ შემთხვევაში, სუმერიელები ჩვენებურ ხუცებზე ჭკუიანები იყვნენ. ჩვენმა ხუცესებმა ხომ მხოლოდ ერთი რამ

იციან კარგად: იცრუე რამდენიც გნებავს სადიდებელად ღვთისა — ქაღალდი ყველაფერს აიტანსო“.

პირველყოფილი ადამიანი უფრო კარგი აზრისა იყო თავის ღმერთზე. იგი თავის ღმერთის დამსახურებას იმაში ჰხედავდა, რომ მან საკუთარი შრომით, საკუთარი მარჯვენით, ოფლითა თვისითა შეჰქმნა და მოაწყო მსოფლიო და არა მხოლოდ ლაქლაქით. იგი აკეთებდა, მუშაობდა. და აკეთებდა იმას, რის გაკეთებაც კაცს არ შეეძლო.

ძველი ადამიანისთვის ღმერთი მისი წინაპრის ნეტარი სული იყო. მან საკუთარი ხელით დაიმუშავა მიწა, მორწყა იგი, აღმოაცენა სასარგებლო მცენარეები, მოაშენა სასარგებლო ცხოველები, მოაწყო ხვნა-თესვის საქმე, მესაქონლეობა, ოჯახი, საშინაო მეურნეობა, მეთევზეობა და სხვა. ასე ფიქრობდენ ველურები, რომელნიც პატივს სცემდენ შრომას, უნარიანობას და საამისო ნიჭს ღვთისგან მოვლინებულად სთვლიდენ.

ხოლო როცა ქურუმთა (მღვდელმსახურთა) წოდება გადიქცა ცალკე, უფლებამოსილ კასტად სახელმწიფოში ღვთისნიერმა მუქთახორებმა აზრი შეიცვალეს შრომასა და გარჯაზე. მუშაობით ოფლში გაწურული და დაკორძებულ ხელებიანი ღმერთი მათ, მუქთა-მჭამელებს—უკვე აღარ მოსწონდათ, ეს ძლიერ დემოკრატიული გამოდისო! განა ის არა სჯობია—ღმერთი მრისხანე—ტახტზე იჯდეს, მბრძანებლობდეს განუკითხველად და ფეხებს უბრახუნებდეს ქვეყანას, როგორც არისტოკრატს შეეფერებაო?

„უნდა მქონდეს“! „იქმენინ!“ „იქმენინ ნათელი“, „იქმენინ სამყარო“ და სხვა. ასეთს ბრძანებებს სცემს ღმერთი.

და იმდენად, რამდენადაც ღვთის მსახურნი მეტად და მეტად შორდებოდენ ხალხს, მათს წრეში იზრდებოდა ბრმა რწმენა, რომ ყოველგვარ ბატონებისა და მფლობელთა ბრძანებას ჯადოქარის ძალა აქვს.

„აი წარმოშობა ქვეყნისა და ცისა, ოდეს შეიქმნესო“—წათქვამია საღმრთო წერილში. მაგრამ რას ნიშნავს ეს წარმოშობა შექმნასთან ერთად? ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჰქმნიდენ მაშინ, როდესაც ეს „შექმნა“ თავის თავად ჰხდებოდა. მაგრამ რაღა საჭირო იყო შექმნა იმისა, რაიც თავის თავად შეიქმნა? ვის მოუვა აზრად შექმნას ვე, რომელიც უჩვენოდაც ტყეში თავისუფლად იზრდება? ვის მოუხიდოდა აზრად, „შეექმნა“ კვიცი, როცა იგი უმისოდაც დედისაგან დაიბადებოდა? და თუ ქვეყანა თვითონ შეიქმნა (წარმოიშვა), ვიღას სჭირდებოდა მისი ახლად შექმნა?

რაღა საჭიროა მისი შეწუხება, მისი ჯიჯგნა, თუ კი იგი, დამოუკიდებლად ყოველგვარ ძალისა—თვითონ შეიქმნება, თვითონ მოეწყობა და ყრავის რჩევას, არავის გეგმებს მხედველობაში არ იღებს.

მაშ, რა იყო, რა მოხდა; „შექმნა“ თუ წარმოშობა? ისიც და ისიცაო—ამბობს საღმრთო წერილი, მაგრამ ერთად რანაირად მოხდებოდა ეს? წარმოშობა თავის-თავად და „შექმნა“—ეს ხომ შეუერიგებელი მცნებანია? ფეხებზე მკიდია ეგ თქვენი შეურიგებლობაო—ამბობს საღმრთო წერილი. რაც გამიგონია, იმას ვამბობ: გამიგონია, რომ ქვეყანა „წარმოიშვა“—ვსწერ—„წარმოიშვას“, გამიგონია, რომ ქვეყანა შეჰქმნა ღმერთმა—ვსწერ—„შეჰქმნა“.

რაც გუდაში მიწყვია, ყველაფერს გადმოგილაგებ.

წარმოიშვა კიდევაც და „შეიქმნა“ კიდევაც—ორთავე ერთადო.

ასე შეაერთეს შეურიგებელი და შავი საკერებელი თეთრი ძაფით ჰკერეს.

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა.., ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ“ („შექმნ“.—I—I.)

„ქმნა ღმერთმან... ქვეყანა, ხოლო ქვეყანა იყო“, მაშასადამე ღმერთმა შეჰქმნა ქვეყანა, მაგრამ იგი უკვე იყო. თავის ადგილას, ხოლო „უხილავ და განუმზადებელ“. მაშასადამე რა შეჰქმნა ღმერთმან? ქვეყანა? იგი ხომ უმისოდაც იყო და მისი შექმნა რაღად დასჭირდებოდა. მართალია იგი ცარიელი, უსიამო, მომწვარი, უწყლო იყო. და ღმერთან მიანიჭა მას ხეირიანი შესახედავობა, მცენარეები დარგა, ბუჩქები გააჩინა, ბალახი და ყვავილები აღმოაცენა.

და ასე იყოს. მაგრამ ბუჩქების დარგვა—ეს ადვილი საქმეა. ბუჩქებს ადამიანებიც რგავენ. ამისათვის ღმერთობა სრულიადაც არაა საჭირო.

ბოსტნის გაშენება უფრო ადვილია, ვიდრე მსოფლიოს შექმნა.

აქედან ცხადია, რა უნდოდა ეთქვა საღმრთო წერილის ავტორს თავის გაღმერთებულ წინაპრის შესახებ. ამ წინაპარმა—ქვეყანა კი არ შექმნა, არამედ „დაამუშავა“, კი არ გაუჩენია, მხოლოდ გაალამაზა. აქ კი დიდი განსხვავებაა. თუ ასეა, ასე უნდა ითქვას სწორედ და არა სხვანაირად. მართალია ძველთა ენა უხეშია და ისეთი წვრილმანის განსხვავება, როგორიც არის „გაკეთება“ და „დამუშავება“—ძნელია. მაგრამ მთარგმნელებს ეს კარგად ესმოდათ, მათ განგებ ისარგებლეს ტექსტის სიბნელით და განგებ უფრო დაამახინჯეს. მიუხედავად მათის ცდისა—ტექსტში აბდა-უბდა დარჩა. ერთის მხრით

საღმრთო წერილში ნათქვამია: შენ ბრძანე და ყველაფერი გაჩნდა (ფს. XXXII, 9). ბრძანა უფალმა და ყველაფერი იქმნა მის ბრძანებისამებრ. ბრძანა და ყველაფერი უდავიდარაბოდ გაკეთდა. ამასთანავე საღმრთო წერილში ნათქვამია, რომ ღმერთი მუშაობდა: „განასრულნა უფალმან დღესა მეექვსესა საქმენი თვისნი, რომელიცა ქმნნა" („შექმნ." II/2). ერთის მხრით, ღმერთი მხოლოდ თავის ბრძანებით ჰქმნის ყველაფერს, მეორე მხრით კი იგი მუშაობს. „საქმენი" აქვს. ეტყობა, უფალმა ჯერ სცადა ბრძანებით გაეკეთებინა ყველაფერი და როცა დაინახა, რომ ყურს არავინ უგდებდა, არც არა კეთდებოდა რა, — გადიწია მკლავები და რაც სჭირდებოდა თვითონ, საკუთარის მარჯვენით გააკეთა.

„გამოიღედ წყალთა... სამფშვინველთა ცხოველთა!" მრისხანედ ბრძანებს ღმერთი („შექმნ." I—20). „და იქმნა ეგრეთ" — განაგრძობს ავტორი. მაგრამ ეს სიტყვები — „და იქმნა ეგრეთ" — ფრჩხილებშია ჩასმული. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვები დედანში არ ყოფილა. მაშასადამე ღვთის ბრძანება უშედეგოდ დარჩენილა. რა უნდა ექნა ღმერთი უბრძანებს „წყალთა", წყალი კი ყურსაც არ იბერტყს. იყვირა, იყვირა ღმერთმა. მაგრამ მერე იფიქრა: ხმა ჩამეხლიჩება ტყუილ-უბრალო ყვირილით. მოდი მე თვითონ გავაკეთებ საქმესაო. და მართლაც გააკეთა.

და ყოველთვის ასე ემართება: ჯერ ბრძანებს და როცა ამ ბრძანებას ყურს არავინ უგდებს — ადგება ხოლმე ღმერთი და თავის ბრძანებას თვითონვე ასრულებს.

რას ნიშნავს ასეთი აბდა-უბდა?

ყველა ეს სისულელე „ღვთის მსახურთა" მოჭორილი ამბავია. ეს მათი ცარიელი თავის, გაიძვერა, მაგრამ უჭკუო, მეჭორე, მაგრამ ტვინთხელაძე ხუცების მოგონილია. არარაობისაგან ქვეყნის შექმნის ამბავი მათ უნდოდათ ერთ მოთხრობად გაერთიანებინათ ძველ ხალხთა თქმულებებთან ყოვლად შემძლებელ ბუმბერაზთა (ტიტანების) შესახებ (იხ. „შექმნ." VI. „რიცხვთა" XIII; 34 და სხვ.). ძველ ხალხებს მრავლად ჰქონდათ ასეთი თქმულებანი. მათი აზრით, მათი წინაპარი ბუმბერაზნი, გმირები — დაუღალავად მუშაობდენ მიწის განაყოფიერებისათვის, რწყავდენ მას და ბოლოს ისეთი სახე მისცეს, როგორიც დღეს აქვს, რომლის შეხებითაც იგი ადამიანს ფრიად ასარგებლებს, ხალხს ჰკვებს და ინახავს.

და ამ შეერთებიდან დომხალი გამოვიდა. ერთ ადგილას ქვეყნის გაჩენაზე ლაპარაკობენ, მეორე ადგილას — შექმნაზე. ერთ ადგილას —

ლვთის ბრძანებით ხდება ყველაფერი, მეორე ადგილას იმაზეა ლაპარაკი, რომ თავის ბრძანებას თვითონვე ასრულებს იგივე ღმერთი.

ერთი სიტყვით—თვითეული სტრიქონი სამღრთო წერილისა მეორეს ეწინააღმდეგება. ერთგან სადღეგრძელოს ამბობენ, მეორეგან შესანდობარს.

„ცხადი და აშკარაა, რომ სიტყვები: „და თქვა ღმერთმან“ და სხვ. სალმრთო წერილში ჩამატებულია ბოლო ხანებში (სტეპანოვი, 22).

ასევეა ჩამატებული მეორე თავში მუხლები 10—15-მდე, სადაც ჩამოთვლილია ედემის მდინარეები. გარდა ამისა ეს ჩამატებული ადგილები არეულად არის მოთავსებული სალმრთო წერილში; სრულიად უადგილო-ადგილას არის ჩაჩრილი და მის პირველად დამწერის აზრებს სწყვეტს, ლოლიკურ აზროვნებას არღვევს. მაგალითად, 8—9 მუხლში სწერია: „და დანერგა უფალმან ღმერთმან სამოთხე ედემს.... და აღმოაცენა ღმერთმან მერმეცა ქვეყნისაგან ყოველი ხე შვენიერი ხილვად და საჭმელად... საშუალო (შუა) სამოთხისა“... ხოლო მე-15 მუხლში ამ აზრის დამთავრებაა: „და მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი, რომელი შექმნა, და დაადგინა იგი სამოთხესა შინა... საქმედ (დასამუშავებლად) და ცვად“ (დასაცველად). ეს მთლიანი აზრი გაწყვეტილია შუაზე სრულიად ზედმეტ ცნობებით იმის შესახებ, თუ რა მდინარეები რწყავს მესოპოტამიას. ამაზე იტყვიან: საიდან სადაო, წშიდაო საბაო.

მაშასადამე, სრულიად უდავოა ის, რომ სალმრთო წერილის საფუძვლად ყოფილა ორი სხვა და სხვა მოთხრობა ქვეყნის შექმნის შესახებ. „ეს მოთხრობები შექმნილია ორ სხვა და სხვა ქვეყანაში, რომელთაც სულ სხვა და სხვა ჰავა და ბუნება ჰქონიათ.“ ეს ორი მოთხრობა, როგორც ეტყობა, „მხოლოდ შემდეგ დროებში შეუერთებიათ ერთ წიგნად. რასაკვირველია, ამასთან ერთად, ამ მოთხრობას თავისებურად შეასწორებდნენ, მაგრამ სავსებით შეთანხმება მაინც ვერ მოუხერხებიათ“ (სტეპანოვი, „ჩვენი ღმერთის წარმოშობა,“ გვ. 10). მიუხედავად ზედმეტად ერთგულ, მაგრამ უჭკულ შემსწორებლებისა, რომელნიც ქურდულად აკლებდენ სალმრთო წერილს იმას, რაც არ მოსწონდათ და ჩაურთავდენ—რაც მოესურვებოდათ—ამ ორ მოთხრობის აშკარა ურთიერთის წინააღმდეგობა ცხადია. მათი შეთანხმება ვერ შესძლეს ხუცებმა, თუმცა საამისოდ ფრიად ბევრი იმუშავეს და ოფლში იწურებოდენ.

საინტერესოა ისიც, რომ ამ ორ მოთხრობის განსხვავება უფრო დიდია, ვიდრე პირველ შეხედვით გეჩვენებათ. საქმე ისაა, რომ აქ

არამც თუ მოთხრობაა სხვადასხვანაირი, არამედ თვით ღმერთებიც სხვა და სხვაა. მათ სახელებიც სხვა და სხვა ჰქვიათ. მაგრამ ხუცებმა და ღვთის საკურთხევლის მსახურებმა აქაც სიყალბე ჩაიდინეს. მათ ყველგან, სადაც კი სხვა და სხვა სახელი იყო ძველ ებრაულ ტექსტში, გადათარგმნეს ერთნაირად: „უფალი ღმერთი". ნამდვილად კი ებრაულ დედანში არის სახელები: „ელოჰიმი" და „იაჰვე". (ანუ **იელოვა**, როგორც დაბეჭდილია სინოდის მიერ გამოცემულ ბიბლიაში). ვინ არიან ეს **ელოჰიმ** და **იაჰვე**? იაჰვე ეს ის სახელია, რომელიც ძველმა ებრაელებმა თავის ღმერთს უწოდეს მას შემდეგ, რაც მონოთეიზმი (ეროლმერთიანობა) აღიარეს, მას შემდეგ, რაც ძველ ისრაილის ყველა თემები გაერთიანდა და შეიქმნა ერთი სახელმწიფო — ერთის ხელისუფლებითა და საერთო სარწმუნოებით. იქამდე ყოველ თემს თავისი ღმერთები ჰყავდა, ეგრედ წოდებული პოლითეიზმი (მრავალღმერთიანობა) იყო. ამიტომ იმ დროს ებრაელები არ ხმარობდენ სიტყვა „ღმერთს", არამედ ამბობდენ: „ღმერთები". სწორედ ამას ნიშნავს „ელოჰიმ". სიტყვა „ელ" სულს ნიშნავს, სულიწმიდას, წინაპრის სათაყვანებელ სულს, რაიც ღმერთად მიაჩნდათ. სიტყვა „ღმერთი" სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა მაშინ. ღმერთი ძველ ებრაელებისათვის მათ წინაპართა „წმინდა ორეული იყო" — „ხორციელი სული მისი". მაშასადამე, "ელ" სულს ნიშნავს. „him" (ჰიმ) მრავლობითი რიცხვის დაბოლოებაა და ამნაირად „el-o-him" (ელ-ო-ჰიმ) ნიშნავს არა „ღმერთს", არამედ „ღმერთებს". და ვინც ამ სიტყვას მხოლოობითად სთარგმნის, ვინც მის მაგივრად სწერს „ღმერთი უფალი" — იგი გრამატიკულ წესებს უარჰყოფს და ამახინჯებს.

„შექმნათა" წიგნის I თავის 26 მუხლში სწორედ ასეა ნათქვამი: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა". აქ მრავლობითი რიცხვითაა ლაპარაკი, ვინაიდან ამ საკითხის გადამწყვეტი ღმერთი ერთი კი არ იყო, არამედ მრავალი. ეტყობა, კაცის ქვეყნად გაჩენის ამბავი ისეთ დიდ რამედ მიაჩნდათ, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად შეკრებილან ყველა „ელ"-ები და გადაუწყვეტიათ: „**ვქმნეთ** კაცი ხატად და მსგავსად **ჩვენდა**".

ერთი სასაცილო გარემოებაც უნდა აღინიშნოს. პირველ დღეს ღმერთმა შექმნა ნათელი, მეორე დღეს შექმნა სამყარო ცისა, მესამეს — ქვეყანა (მიწა), მეოთხე დღეს „მნათობნი" („შექმნ." I — 14).

რაღა განათება იყო საჭირო, თუ კი ღმერთმა პირველ დღეს შექმნა „ნათელი?" ასეთი ორმაგი სინათლე ვის სჭირდებოდა? ჩვენ

ხომ ვიცით, რომ საღმრთო წერილის მიხედვით, მზის გაჩენამდე იყო პირველი დღე (I—5), მეორე (I—8) და მესამეც (I—13). და თუ დღე იყო, მაშასადამე ნათელიც ყოფილა, მაშასადამე უმზეოდაც კარგათ იქნებოდა საქმე— რიღასთვის ღა ჰქმნიდა მას ღმერთი? ქვეყნის დასამშვენებლად? მაშასადამე ღმერთი უსაქმობას გაჰყოლია: ჯერ ქვეყნიერების გაჩენა არ მოეთავებინა, არ მოეწყო ყველაფერი რიგიანად და ხუმრობასა და გართობას აჰყვა: მიაჭედა ცას მზე ისე, შესახედავად, მტრის გულის გასახეთქად, როგორც „კაი ოჯახიშვილები" ბრჭყვიალა ჟეტონს მიაკრავენ ხოლმე შუბლზე მეეზოვეს. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ჩვენ ვიცით, რომ ნათელი მზისაგანაა და შეუძლებელი იყო სინათლე ყოფილიყო მაშინ, როცა ჯერ მზე არ იყო.

ყველაფერი ეს მეცნიერებამ კარგად იცის. მაგრამ საღმრთო წერილის უვიცმა და უმეცარმა ავტორებმა ასეთი დიდი სისულელე დასწერეს. მათ იმ დროს ჯერ კიდევ არ იცოდენ, თუ რაა მიზეზი დღისა და ღამის არსებობისა. ჯერ მათ კიდევ არა იცოდენ რა იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს დღე-ღამისა და დედამიწის თავის ღერძის გარშემო მზის წინ ტრიალის შორის. მათ ეგონათ, ღამდება და თენდება ღვთის ნებითა და ბრძანებითაო. მათ არ იცოდენ, რომ როდესაც დედა-მიწის ერთ მხარეს დღეა, მეორე ნახევარზე ღამეა. მათ არ იცოდენ, რომ დედა-მიწა ერთ მხარეს რომ მზეს მიუშვერს— იქ დღეა, ხოლო მეორე, მოფარებულ მხარეზე—ღამე.

ცხადია, მზე რომ არ ყოფილიყო— არც დღე და ღამე იქნებოდა.

მართალია, იმ დროს, როდესაც იწერებოდა საღმრთო წერილი, ბაბილონელები უკვე იცნობდენ ასტრონომიას, მაგრამ სწორ ცნობებთან ერთად, მათ შემცდარი ცნობებიც სჯეროდათ. მაგალითად, მათ ეგონათ, რომ მთვარეს საკუთარი ნათელი ჰქონდა. სწორედ ეს შეხედულება სჩანს საღმრთო წერილში: „და შეჰქმნა ღმერთმან... მნათობი უმრწემესი (პატარა) მფლობელად ღამისა („შექმნ." I—16) მაგრამ მეცნიერებამ იცის, რომ მთვარეს საკუთარი ნათელი არა აქვს. მთვარე მზის სხივებით არის განათებული და ამიტომ ანათებს ღამე დედა-მიწას.

საღმრთო წერილის ავტორებმა ჯერ ეს არ იცოდენ. კიდევ უარესი: მათ არც კი ესმოდათ, თუ რა არის „ნათელი" და „ბნელი". ისინი სწერენ: „და განწვალა (გაჰყო) ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა" (I—4). მაგრამ რა არის ბნელი"? ბნელი არის სინათლის არყოფნა: სადაც ნათელი არაა, ბნელია. რანაირად შეიძლე-

ბა განყო ის, რაც არ არსებობს, იმისაგან, რაც არსებობს? შეიძლება განა განყო კვიცი ფაშატ ცხენისაგან, რომელიც ერთი წლის წინად მომკვდარა?

„შექმნათა“ წიგნში დაწვრილებით არის აწერილი ქვეყნის შექმნის ამბავი და აგრეთვე ის, თუ რა დღეს რა შეჰქმნა ღმერთმა. პირველ დღეს შექმნა ნათელი, მეორე დღეს სამყარო. მესამე დღეს ზღვები, მთები და მინდვრები, ხეებით და სხვადასხვა მცენარეულობით. მეოთხე დღეს მნათობნი ცისანი, მეხუთეს თევზნი წყლისანი და ფრინველნი, მეექვსე დღეს ცხოველები და ადამიანი. ამით მოათავა თავისი საქმიანობა უფალმა.

მაგრამ როდის გაჩნდა დედა-მიწა და ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ? ეტყობა, ჰაერის გაჩენა ღმერთს დავიწყებია. ხოლო დედა-მიწის გაჩენა მას არც დასჭირებია, ვინაიდან საღმრთო წერილის სიტყვით იგი უკვე არსებობდა შექმნის დაწყების პირველ დღემდე. ეს გარემოება მამა-ღმერთს გამოეპარა და საქმე უმისოდაც გაკეთდა.

* * *

მოათავა რა ღმერთმა ხეებისა და ბუჩქების დარგვა, სხვა და სხვა მცენარეულობის დათესვა, მან მოიყვანა თავის მიერ გაკეთებულ სამოთხეში ადამიანი და უთხრა: აი, იცხოვრე და იხარე აქ, ოღონდ ერთი პირობით: ისე განვლე დღენი შენნი, რომ მუდამ უმეცარი და დოყლაპია დარჩე. აი, სამოთხე, აი ხეები; რამდენიც გენებოს, მიირთვი. სანამ ყელთამდე არ აივსო. ღორისთანა ბლომად მჭამელი არა არის რა და ამიტომ არის, რომ იგი მუდამ მხიარულია, ღრუტუნებს, ცუდ გუნებაზე არასოდესაა. მიჰბაძე ღორს. რა სარგებლობას მოგიტანს ფილოსოფოსობა და სიბრძნე? ცოდნა კაცს აჩიავებს, ახდომებს, ამიტომ ჩასდე დინგი შენი ვარცლში და სვლიპე რამდენიც გენებოს, დასტკბი და გაიხარე, ვითარცა ღორმა. მაგრამ ერთი რამ არ დაგავიწყდეს. არ გაჰბედო სჭამო ნაყოფი „ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“. არ შეჰფერით ადამიანებს ჭკუით და ცოდნით ღმერთსა თვისსა გაუტოლდენო. და ადამიანის შესაშინებლად, რათა მას არ გაებედნა ღვთის ბრძანების გადასვლა, ღმერთმა ტყუილებიც ჩაარტყა: სულ ერთია, უვიცია, ვერაფერს მიხვდებაო. მან უთხრა: თუ გაგიბედნია და მიჰკარებიხარ ცნობადის ხეს, თუ ერთიც არის გონება აგიმუშავებია და ტვინი აგიმოძრავებია, მყისვე „სიკვდილითა მოკვდებიო“ („შ.“ II, 17).

ადამიანი მართლაც ისე შეაშინა ამ სიტყვებმა, რომ ხეს ცნობადისას ერთი ვერსის მანძილზედაც კი არ უახლოვდება. ცხოვრობ-

და იგი ასე სულელად, დადიოდა პირაღია და მის ჩასუქებულ სახეს იდიოტის ღიმილი დასთამაშებდა მუდამ.

მაგრამ მადლობა ეთქმის ეშმაკს. ღმერთზე გაჯავრებულმა, მის საწყენად და დასაცინად, მან, ეშმაკმა, თვალი აუხილა ადამიანებს და ნათლად დაანახვა უფლისა ღმერთის ტყუილები. „ერთი ეს მიბრძანეთ, რას დაგიშლით, რას გავნებთ, თქვენ რომ სჭამოთ ნაყოფი ხისა ცნობადისა? რას დაჰკარგავთ, ყველაფრის ცოდნა რომ გქონდეთ“ ეუბნებოდა იგი ადამიანს. და ადამიანებიც სწრაფად მიხვდენ. თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მათ მართლაც იგემეს ნაყოფი „ცნობადისა“ (აზროვნების, ცოდნისა) და უცებ მიხვდენ იმას, თუ რა იყო ის „კეთილი“, რაც მათ წართმეული ჰქონდათ და აგრეთვე ის „ბოროტიც“, რითაც მათ უმასპინძლდებოდენ. ყველაფერი გამოაშკარავდა მათთვის; მაგრამ შეეშინდათ რა ღვთის რისხვისა და სასჯელისა ბუჩქებში მიიმალენ.

დატრიალდა ღმერთი. ვერ მიმხვდარიყო, თუ რა ამბავი მოხდა. „ადამ, ადამ. სადა ხარ?“ („შ.“ III, 9) ჰყვიროდა იგი და უმწეოდ სამოთხეში ხან აქეთ, ხან იქით დარბოდა.

„რად დამალულხართ ჩემგან? იქნებ ჩემგან აკრძალულ ხის ნაყოფი, ვაშლი სჭამეთ? შეეკითხა ღმერთი ადამს, როგორც კი ის და ევა ბუჩქებში მიმალული ნახა.

„ჰმ. შენ მხოლოდ ეხლა მიხვდი?“ დაცინვით ნიშნს უგებდა ხეს ამოფარებული ეშმაკი. „აკი ამბობენ. ღმერთი ყოვლის მხილავი და მცოდნე არისო? აბა, ეხლა კი თითი მოკაკვე და გატყდი, რომ მე შენზე ძლიერი ვყოფილვარ“ — დაუმატა სატანამ. „მე შენზე მეტი ძალა და უფლება მაქვს. ადამიანები ამიერიდან ყველაფერში მე დამემორჩილებიან ისევე როგორც ეს დღეს მოხდა. ვინ ღა დაგიგდებს შენ ყურს?“ განაგრძობდა ეშმაკი დაცინვას.

გაიგო რა ადამ და ევას „შეცოდების“ ამბავი, ღმერთი წყევლა-კრულვას მოჰყვა: „წყეულ იყავნ ქვეყანა საქმეთა შინა შენთა“ („შ.“ III/17), გვიმრითა, ღვარძლით აღივსოს ყანები შენი; „ოფლითა პირისა შენისათა“ (III/19), წელმოხრილი ეძებდე შენ ველსა ზედა „ეკალსა და კუროსთავსა... სჭამდე თივასა ველისასა“ („შ.“ III/18) და იქნება ცხოვრება შენი აღსავსე მწუხარებითა და ვაებითა „ყოველთა დღეთა“ (მუდამ. „შ.“ III/17) აუტანელ ტკივილებითა და ვაიკიშით ჰშობდეს ცოლი შენი და იყოს ასე, ვიდრე „მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე“ („შ.“ III/19).

დიდად აღელვებულნი, აღშფოთებულნი, ღმერთები შეიკრიბებიან ბჭობად და ამბობენ: „აჰა, ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩვენგანი, მეცნიერი (მცოდნე) კეთილისა და ბოროტისა“ (Ш/22). გაჯავრებული არიან ღმერთები და ეშინიანთ: ვაი თუ მიჰყოს ხელი ადამმა და იგემოს ნაყოფი ცხოვრების ხისა, და გახდეს უკვდავი (Ш/22). აბა, ჩქარა განვდევნოთ იგი სამოთხიდან, თორემ ყველაფერში ჩვენი მოცილე იქნება, არასოდეს არ მოკვდება, თუ „ხისა მისგან ცხოვრებისა“ სჭამაო. რალა გვეშველება, ხომ უნდა მივკეტოთ მაშინ ჩვენი დუქანიო. გადასწყვიტეს და შეასრულეს კიდევაც: ადამი განდევნილ იქმნა სამოთხიდან („შ.“ Ш/23).

განდევნილ ადამსა და ევას ორი შვილი ეყოლათ: კაენი და აბელი. პირველ ხანებში ძმები სიამ-ტკბილობით ცხოვრობდენ, მაგრამ კაენი აბელმა გააბრაზა და ჩხუბის დროს მან აბელი მოჰკლა. ღმერთმა დასწყევლა კაენი ამ მკვლელობისათვის; მშობლების ოჯახიდან განდევნა და უთხრა: იყავნ დევნილი, „კვნესით და ძრწოლით იყო ქვეყანასა ზედა“ (VI. 12). „და დასდვა უფალმან ღმერთმან სასწაული კაენს“, რათა არავის შესძლებოდა მისი მოკვლა, არამედ გაეტარებინა მას ცხოვრება თავისი მარტოდ-მარტოს (IV—15).

მაგრამ საკითხავია: ვის უნდა მოეკლა კაენი, თუ კი ქვეყნად იმ ჟამად ხალხი არ იყო? ტყის ნადირს? მაგრამ რა ესმის ნადირს ღვთის ბრძანებისა, კითხვა ხომ არ იცის, რომ გაეგო ღვთის ბრძანება: კაენს ნურავინ მოჰკლავთო.

ამნაირად, ადამ და ევა დაობლდენ. ავაზაკი კაენი კი, მშობლიურ კერას მოშორებული და განდევნილი, წავიდა ედემიდან აღმოსავლეთს, მივიდა „ქვეყანასა ნაიდს“ და ეპირებოდა იქ საფუძვლიანად და მკვიდრად მოწყობილიყო. მაგრამ რა საქმესაც კი მოჰკიდებდა ხოლმე ხელს, ყველაფერი ეფუშებოდა, არა გამოდიოდა რა. ისეთმა მწუხარებამ, ისეთმა ჭმუნვამ მოიცვა კაენი, რომ გულზე ლოდ შემოწოლილმა, ყველას განშორებულმა, ხელი ჩაიქნია ყველაფერზე. მიაფურთხა ეშმაკს და... ცოლი შეირთო. კი, სცოდნია კაენს ცხოვრების ავ-კარგი! ჰქონია მოხერხება და უნარი! მთელ მსოფლიო მხოლოდ სამი ადამიანი იყო და გაიძვერა კაენმა კი საიდგანღაც საცოლო გამონახა. იქორწინა, შეუდგა ოჯახურ ცხოვრებას და თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს წინად—ყველაფერი დაავიწყდა, იწყო თავის ქეიფზე ყოფნა და განცხრომა.

გამხიარულდა კაენი და იწყო ღმერთის დაცინვა: „ჰა, როგორია საქმეები, უფალო-ჯან? სულ „ჰქმნი და ჰქმნი“ რალა! შეჰქმენი

შეჰქმენი, თუ სხვა გასართობი არა დაგრჩენია რა. ჩვენს ქვეყანა ნაიდში კი ხალხი ძველის წესით მრავლდება. აი, მეც ცოლი მოვიყვანე. ისეთი კი არა, როგორიც მამაჩემს ჰყავდა—მისი გვერდითგან გამოლებული. არა, მე ნამდვილი გოგო მყავს, ხელით გაკეთებული კი არა, ფერ-ხორციანი, ეული". თურმე რა ყოფილიყო! ვიდრე უფალი ღმერთი ზეციდან მიწაზე ჩამოძვრებოდა, ვიდრე ის გართული იყო თიხის ზელას, სულის ჩაბერვასა და გვერდის მტვრევაში ადამიანის და მისი ცოლის შესაქმნელად,—ადამიანები, ნამდვილი ადამიანები, ცხოვრობდენ „ქვეყანასა ნაიდსა", ნაყოფიერდებოდნენ და მრავლდებოდენ იქ სრულიად დამოუკიდებლად ღვთისა, მის დაუკითხავად დაუნებართვოდ. ღმერთმა ყოვლად მხილავმა ეს კი არ იცოდა თურმე.

აი, ასეთია საღმთო წერილის სიბრძნე და სიმართლე. „შექმნათა" წიგნის I თავში მოთხრობილია, რომ ადამიანი ღმერთმა გააჩინაო, მეორეში კი ლაპარაკია იმაზე, რომ ყველაფერი ეს თურმე მტკნარი სიცრუე ყოფილა. ადამიანები ქვეყანასა ნაიდსა ულმერთოდაც თავის თავად მრავლდებოდენ, არავინ მათ არ ჰქმნიდა, ვინაიდან არავისთვის ეს საჭირო არ იყო.

და როდესაც ხუცები ეუბნებიან მორწმუნეებს, საღვთო წერილში მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება და სიმართლე არის მოთხრობილი, კარგი იქნებოდა შეეკითხებოდეთ მათ: სად, რომელ ფურცელზეა ჭეშმარიტება? პირველ თავში, სადაც ნათქვამია—ადამიანი ღმერთმა გააჩინაო, თუ შემდეგ თავში—რითაც მტკიცდება, რომ რაც პირველ თავშია ნათქვამი, ყველაფერი სისულელეა? ორივეს ხომ ვერ დავუჯერებთ? ან „ჰო", ან „არა". იქნებ ხუცებმა ასე გვითხრან: უქმე დღეებში ვუიქრობთ, რომ ადამიანი ღვთის გაჩენილია, ხოლო უბრალო დღეებში გვწამს, რომ ადამიანი წარმოიშვა თავის თავადაო. მაგრამ ვინ არის ისეთი დოყლაპია, რომ ეს დაიჯეროს? ცუდი დრო დაუდგათ ხუცებს და მათ ამყოლებს.

ვერაფერი მოუხერხა უფალმა ავაზაკ კაენს. დასწყევლა იგი ღმერთმა და თანაც გულღვარძლიანად ამბობდა: არა უშავს რა, იწვალოს ცოტა იმ მუხანათმა, იმანა, დაიტანჯოს, ახია იმაზე! ღმერთს ეგონა, კაენი მწუხარებასა და ჭმუნვაშიაო. კაენი კი ამ დროს თავის ქორწილში იქაურობას იკლებდა და ბუქნას უვლიდა. რაში მეჭირვება უფლის კურთხევა, მე ეიმისოდაც კაი გუნებაზე გახლავართო ამბობდა იგი. აი, რანაირად მოატყუა თავზე ხელაღებულმა კაენმა, ჩვენი წინაპრის ადამის ულირსმა შვილმა—უფალი ჩვენი ღმერთი! მაგრამ თვით ღმერთის შვილებმა თავის მამას უფრო უარესი საქმე დაჰ-

მართეს. ეს, როგორ არის ეს ამბავი მოთხრობილი საღვთო წერილში: „რაჟამს იწყეს კაცთა გამრავლება ქვეყანასა ზედა და ასულნი იშვნეს (დაებადათ) მათდა. ხოლო იხილნეს რა ძეთა ღვთისათა ასულნი კაცთანი, რამეთუ შვენიერ იყვნეს, მიიყვანეს თავთა თვისთა ცოლებად ყოველთაგან, რომელნიც გამოირჩინნეს" (ამოირჩიეს. „შ." VI—12).

მართლმადიდებლებს ჰგონიათ, ღმერთს მხოლოდ ერთი ძე ჰყავდა — იესო ქრისტეო. ეხლა კი მტკიცდება, რომ „ძენი ღვთისანი" მთელ ჯარს შეადგენდენ. მაგრამ საქმე ეს როდია. საქმე ისაა, რომ ვაჯავრდა უფალი თავის შვილებზე, რატომ რჩევას არ მკითხავენ ცოლის ამორჩევის დროსაო. უფრო კი იმიტომ სწუხდა: შესაფერის, თავის ტოლს ქალებს არ თხოულობენო. „ძე ღვთისა" და ვიღაც გაუთლელი, სოფლის გომბიო! რა მათი შესაფერია. მოძებნონ მაგ ლაწირაკებმა საცოლეები ქერუბიმებს შორის, ან ეარშიყონ წმინდა ასულთა სულებს ზეცაში — ჰფიქრობდა გულამღვრეული უფალი. „დიაღ, ვერ მოგართვესო" — უპასუხებენ „ძენი ღვთისანი" მამა ღმერთს და თან ულვაშებში იცინიან. რა გვრჯის მკვდრებს გამოვეკიდოთ. როცა ცოცხლები მრავლად არის. განა შეიძლება რომელიმე სისხლგამშრალი წმინდა ასული ან მონაზონი შევადაროთ წითლად გაღვიებულ, ჩასუქებულ, მკერდ სავსე თვალ-ყუჟუნა გოგოებსაო — დასძენდენ ისინი.

განრისხდა უფალი. მაგრამ რას იზამდა. ისევ ადამიანზე იყარა ჯავრი. და თქვა უფალმან ღმერთმან: „არა დაადგრეს (უყურადღებოდ იყოს) სული ჩემი კაცთა ამათ შორის უკუნისამდე, რამეთუ არიან იგინი ხორცნ: იყვნეს უკვე დღენი მათნი (სიცოცხლე) ას ოც წელ" (VI—3). აბრაამმა კი არც აცივა, არც აცხელა და მიუხედავად ღვთის დადგინებისა — იცოცხლა წელი „ას სამეოც და ათხუთმეტ" („შ". 25—7). ღმერთი თავისას ბრძანებს, ადამიანები თავისას სჩადიან, მის ბრძანებას არ ემორჩილებიან.

საკვირველი არც ის უნდა იყოს, რომ ადამიანებიც გაჯავრებული იყვნენ. ღმერთი თვითონ არის დამნაშავე, რატომ თავის შვილებს თვალყურს არ ადევნებსო. რა ამბავია? მისი შვილებისაგან ჩვენს გოგოებს მოსვენება აღარა აქვთ, შეუჩნდებიან ხოლმე და ხომ ეკით ქალის გული ცვილივით დნება. თუ ადამიანის ასული ღვთის ძეთათვის ცოლად არ გამოდგება — ეს ღმერთს ადრევე უნდა შეემჩნია და ზომები მიეღო. დიაღ, ვერ მოგართვეს — ხელის ფათური შეიძლება და შერთვა კი არა? თვით აცდენდენ და აბრიყვებდენ ჩვენს

გოგოებს და ეხლა მათვე სდებენ ბრალსა. ღვთის შვილები არიან დამნაშავენი და ჩვენ კი გვსჯიან, განა ეს სამართალია? და იწყეს ადამიანებმა შფოთი. ღმერთმა კი თვითონ აღარ იცოდა, რაღა ექნა. დედა-მიწა თვალით დასანახადაც შესძულდა. და რათა ერთხელ და სამუდამოდ მოესპო ღმერთს ეს დავიდარაბა, გადასწყვიტა ქვეყნად წარღვნა მოევლინებინა. ვინაიდან დაინახა „უფალმან ღმერთმან, ვითარმედ გამრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქვეყანასა ზედა“ და „შეინანა ღმერთმან, რამეთუ შექმნა კაცი ქვეყანასა ზედა“ („შექმნათა“ წ. VI, 5-6). უკეთესი იყო ხელი სულ არ მომეკიდა ამ საქმისათვისაო. დაღონდა უფალი. ბოლოს განიზრახა: აღვხოცო კაცი, რომელი შევქმენ, პირისაგან ქვეყანისა... რამეთუ შევინანე, რამეთუ შევქმენ იგინი“ („შ“ VI—7). ყველაფერი, რაც კი არსებობს ქვეყნად ცოცხალი, უნდა მოისპოსო (VI—17).

მხოლოდ ერთმა მართალმა და ღვთისმოსავმა ნოემ მოახერხა ღვთის გულის მოლბობა თავისი განუსაზღვრელი მორჩილებით და გადარჩა კიდევაც. მაშინ, სადიდებლად ღმერთისა, — „მოიღო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა... და შეწირნა იგინი ყოვლად-დასაწველად საკურთხეველსა ზედა. და იყნოსა უფალმან ღმერთმან სული სუნნელებისა და თქვა... არღარა შევსძინო მერმე წყევად ქვეყანისა საქმეთათვის კაცთასა“ — აღარ ამოვხოცავ ყოველსავე სიცოცხლეს მქონეს, მეყოფა, რაც ჩავიდინეო (VIII, 19—20).

მონანიების უნარი — ეს ყველა ძველი დროის ღმერთების დამახასიათებელი თვისებაა. თანამედროვე ღმერთები მათზე ბევრად სასტიკნი და შეუბრალებელნი არიან. ამის მიზეზი ცხადია. ძველი დროის ღმერთი (წინაპრის ორეული, მამათმთავრის სული), ადამიანის ახლო ნათესავი იყო. თემისა თუ ტომის წმიდა მფარველი, ოდესღაც თვითონაც ადამიანი იყო და არაფერი ადამიანური მას არ ეუცხოვებოდა. ღმერთი ადამიანისებური იყო და ადამიანსავითვე კეთილი. თანამედროვე ღმერთები მათ ვერ დაედრებიან. ახლანდელნი ქურუმნი და მღვდელმსახურნი ღვთის სულ სხვა თვისებებს უგალობენ ქებათა-ქებას.

„სასუფევლისა ცათასა“ კულტუროსანი მქადაგებელნი, რომელნიც ამავე დროს იცავენ აზრს, რათა „ადამიანი ოფლითა თვისითა ცხოვრობდეს ქვეყნად; უარმყოფელნი ყოველისავე სოფლიურისა და ბერად აღკვეცილნი (მათი სული დაბუდებულ არს რკინისა საფულესა შკაფთა შინა), მოციქულთა სწორი ლოთი-ფოთები, „სულთა მართალთათანა შერიცხულნი“ და ანგელოზთა შორის დამკვიდრებულნი

კუდიანები, მრუშიანები, ღვთისნიერი შავრაზმელნი და სატანას მოციქულნი ქვეყნად—ჯვარცმულის ხატით ანაფორაზე—ყველა ესენი სულ სხვანაირად ფიქრობენ თავის ღმერთზე, ვიდრე ძველი დროის ველურები.

ძველი დროის ველურების აზრით ღმერთებს თავის მოვალეობად მიაჩნდათ კაცობრიობას დახმარებოდენ წარღვნის საშინელებათაგან გადასარჩენად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ველურთა სხვადასხვა მოთხრობიდან აშკარა ხდება ერი რამ: წარღვნა ერთხელ კი არა, მრავალჯერ ყოფილა. და ეს წარღვნა სრულიადაც არ მოსდებია მთელ ქვეყანას. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ „საღმრთო წერილის მოთხრობას წარღვნის შესახებ საფუძვლად უდევს გაზვიადებული მოგონებანი სხვადასხვა დროს მომხდარ წყალდიდობის შესახებ“. ყველა ამისთანა მოთხრობაში, რომელიც, რასაკვირველია, გაზვიადებულია ძველ ავტორთა შეშინებულ გონებისაგან—უსათუოდ გამოჩნდება ხოლმე რომელიმე წმინდა ფრინველი, არწივი ან ორბი, მფარველი ამა თუ იმ ტომისა; შეისვამს ხოლმე ადამიანს თავის მძლავრ ფრთებზე, აიყვანს მაღალ მთაზე და ამნაირად გადაარჩენს კაცობრიობას სავსებით დაღუპვისაგან. ან კი როგორ შეიძლებოდა თემისა თუ ტომის ღმერთს თავისსავე სამწყსოს დაღუპვა მოენდომებინა? ყველამ იცის, რომ წმიდა არწივი, ან ორბი—ძველ ერებში ითვლებოდა ხშირად—ისეთ ფრინველად, რომელშიაც სცხოვრობს ტომის სულიო. რატომ მოინდომებდა იგი იმ ხალხის მოსპობას, რომლის ძარღვებში მისივე სისხლი სჩქეფდა?

ყველამ უწყის, რომ ძველთა რწმენით, სწორედ ტომის მფარველი და მამათმთავარი იყო ის, რომელმაც ტომი გააჩინა და ეხმარებოდა. იგი იყო „მამა ღმერთი“—ორბის ან არწივის სახით; მან შეჰქმნა ადამიანები, შეჰქმნა სარეცელზე მწოლარემ ტომის დედათმთავართან, პირველ ქალთან ერთად.

ველურები თავის ღმერთს იმ თვისებებსა და ხასიათს მიაწერდენ, რაც თვითონ ჰქონდათ. მათ ღმერთებს ისეთივე ნაკლი და ღირსებები ჰქონდათ, რაც ადამიანებს. მაგრამ ველურებს ღმერთები ყოველთვის მიაჩნდათ თავის მფარველად, მცველად და შემწედ, ვინაიდან ის მათი ნათესავი იყო, ისინი მისი შვილები იყვნენ.

და მხოლოდ თანამედროვე კაცობრიობამ, რომელნიც ღვთის „ხატად და მსგავსად“ სთვლიან თავს, გაჰბედეს და მიაწერეს ღმერთს სატანისებური, კლასთა ბრძოლის პირობებით გამოწვეული სიძულვილი სუსტისადმი და თავის ნათესავისადმი. ამ სიძულვილმა გადააწ-

ქვეტინა მას, უფალსა ჩვენსა ღმერთს— გაენადგურებინა ქვეყნად ყველაფერი, რაც კი სცოცხლობს („შ.“-ს VI. 17).

გარდა იმისა, რომ ამისთანა სიბოროტის მიწერა ღმერთისადმი, ნიშნავს მის სიკეთისა და მოსიყვარულობის უარყოფას—ეს თავის თავად მისი ყოვლად შემძლებელობის დამცირებაც არის. მართლაც და რა გამოდის: შეჰქმნა უფალმა ადამიანები „ხატად და მსგავსად“ თვისად და ისინი კი რაღაც საშინელ სიმახინჯეს და ბოროტებას წარმოადგენენ.

პირველ ხანებში ღმერთი კმაყოფილი იყო და ეგონა, რომ „ყოველნი, რაოდენნი ქმნა“... არს „კეთილ ფრიად“ („შ.“ I—31). ისე კარგად ეჩვენებოდა თავისი საქმენი, რომ „განისვენა (დაისვენა) დღესა მეშვიდესა“ და მთელი ერთი დღე უქმად, სიხარულში გაატარა („შ.“ II—2).

მაგრამ მოსტყუვდა ღმერთი და ყველაფერი ცუდი, ბოროტი აღმოჩნდა. პირველი ადამიანი, რომელიც ღმერთმა შეჰქმნა მსგავსად და ხატად თვისად—ადამი, არამზადა აღმოჩნდა: იხელთა დრო, როდესაც ღმერთი მას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა და მყისვე სტაცა ხელი აკრძალულ ხეს, სულ მთლად ჩამობერტყა იგი.

ევა, ღვთის შექმნილი ევა—თვითონ იმალება, ქვეშ-ქვეშა და მუზმუზელაა, სხვებს კი ბოროტებაზე აცდენს. იგი არის შეცოდების დამწყები, მთელი ამ დავიდარაბის მომწყობი. მათი პირველი შვილი, რომელიც მათ ეყოლათ ღვთის ნებით—კაენი, ავაზაკი აღმოჩნდა, ლოო ნოე, ერთად-ერთი მართალი კაცი მთელ ქვეყნიერებაზე, კაცი. რომელიც ღმერთმა ამოირჩია ადამიანთა გვარის განსაგრძობად წარღვნის შემდეგ—ეს მართალი ნოე—ლოთი-ფოთი აღმოჩნდა: „გააშენა ვენახი“ და სვა ღვინო მისგან და დაითრო და განშიშვლდა სახლსა შინა თვისსა“ („შ.“ IX—21). წმინდა აბრაამი—მაჭანკლობას ეწეოდა: მან თავის სარგებლობისათვის ცოლი თვისი, „დედაკაცი პირმშვენიერი“, აიძულა ფარაონის სასახლეში წასულიყო და იქ ეროსკიპნა („შ.“ XII—11—12). ღვთის მმოსავი და კაცი მართალი, ლოტი, ნამდვილად მრუშია და სისხლის შემრევი. იგი დაითრო და თავისი ქალიშვილები გააუპატიურა („შ.“ XIX—33 და სხვ.), წმინდა იაკობი ისეთი თავზე ხელ-აღებული აღმოჩნდა, რომ თვით ღმერთიც კი მიტყეპა; რატომ არ მაკურთხებო (XXXII—26).

უყურა, უყურა ყველა ამ თავის ხელთქმნილ მშვენიერებას უფალმა და გადასწყვიტა: „უეჭველად უნდა გავხრწნა, მოვსპო, ყველა ეს ღვთის სახიერი და მსგავსი არამზადები, თორემ საქმე ცუდად არისო“. ამიტომ მოავლინა მან ქვეყნად წარღვნა.

და უბრძანა ნოეს უფალმა: გააკეთე შენთვის კიდობანი ულპობელ ხისაგან, ისეთი კი, რომ „სამასი წყრთა“ სიგრძე ჰქოდეს, ორმოცდა ათი სივრცე და ოცდა ათი სიმაღლეო („შ.“ VI—14—15). შედი შენს კიდობანში და „ყოველთაგან საცხოვართა წმინდათა შეიყვანნე შენთანა შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი; ხოლო პირუტყვთაგან არა წმინდათა ორ-ორი, მამალი და დედალი“ („შ.“ VII—2). წაიღო ყოველივე საჭმელი მათთვის („შ.“ VI—21), ორმოცი დღის სამყოფი, ვინაიდან შვიდი დღის შემდეგ „მოვხადო (მოუვლინო) წყლით რღვნა ქვეყანასა ზედა ორმეოცთა დღეთა და ორმეოცთა ღამეთა“ (VII—4).

ორმოცდაათი წყრთა თანამედროვე საზომით დაახლოებით 75 საჟენს შეადგენს; ასეთი იყო სივრცე კიდობნისა. მასში რომ თითო წყვილ სპილოთათვის (7 წყვილი) სამი არშინი დაგვეთმო—მარტო ისინი ნახევარზე მეტს ადგილს დაიჭერდნენ. ეს ერთი კედლისკენ. მეორე მხარეს, ვსთქვათ, მარტორქები, ლომები, ვეფხვები და სხვა მხეცები მოგვეთავსებინა. მათ შუა პატარა ცხოველები მოთავსდებოდნენ. მაგრამ რას უზამდით, მაგალითად, „ბრონზოტავრებს“ (წარღვნის წინა დროის ბუმბერაზი ცხოველებია), რომელიც სიგრძით რამდენიმე საჟენი იყო; რას უზამდით მამონტებს, ბეჰემოტებს, ჟირაფებს, ზღვის ღორებსა და ზღვის ლომს, ბიზონებს, კამეჩებს, ნიანგებს, დათვებს, მელებს, ირმებს? სად მოათავსებდით შინაურ პირუტყვებს: ძროხებს, ცხენებს, სახედრებს, თხებს, ცხვრებს, ღორებს და სხვ. ძაღლები ხომ ერთი ორმოცდა ათი ჯიშისა მაინც იქნება, იმათ რაღას უზამდენ? ან კი სად დასტევდა ნოე ამოდენა ცხოველთა ორმოცი დღის სამყოფ საგზალს? ამ ორმოც დღეში მარტო ძროხები იმდენს მონეხვამდენ, რომ ოთხი კიდობანი არ ეყოფოდა. აქედან ცხადია, კიდობნის აშენების საქმეში, ღმერთი, როგორც იტყვიან, კალოშში ჩაჯდა, შესცდა, მიხვედრილობამ უმტყუნა. ვერ გამოიანგარიშა, როგორც საჭირო იყო. ამ შემთხვევაში ვერც ბერძნებმა შეამჩნიეს მისი შეცდომა, რომ ცოტას მაინც მოხმარებოდენ. ასე დარჩა საღვთო წერილში ეს აბდა-უბდა.

მაგრამ საკვირველი უფრო ის არის, რომ ამ „სამღვთო“ წერილის მიხედვით ღმერთი შეგნებულად მოუვლინებს სხვა და სხვა უბედურებას ადამიანს. განამზადებს რა ნოეს შორეულ მგზავრობისათვის ღმერთი აიძულებს მას „არა-წმიდა“ ცხოველებიც წყვილ-წყვილი წაიყვანოს თან: წყვილი რწყილი ლოგინში, წყვილი თარაქანა, კისერში წყვილი ტილი ჩაისვას, ერთი შენ, ერთი შენს მე-

ულლესაო, წყვილი ციების კოლო, ხოლერის ვიბრიონები წყლით სავსე ვედროში, ხორბალში—წყვილი თაგვი და სხვ. ყველაფერი ეს წაიყვანე, ნოე, კიდობნითა, ვინაიდან შენ მართალ კაცად მიმიჩნევიხარ: ამიტომ დაე გჭამდეს შენი სიმართლისათვის ბაღლინჯოები მთელ შენს სიცოცხლეშიო.

„ადამიანები მოსპო და ქვეწარმავალნი განამრავლა“—აი, რა ბრძნულად მოიქცა ღმერთი უფალი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საღმრთო წერილის მოთხრობას წარღვნის შესახებ—იგივე ორმაგობა ეტყობა, რაც ქვეყნის შექმნის ამბავს. აქაც, უეჭველია, საფუძვლად ორი სხვა და სხვა წყარო აქვს. აქაც, პირველი წყარო ღმერთს—„ელოჰიმს“ უწოდებს, მეორე კი—„იაჰვეს“.

იმ საკითხზე, თუ რატომ მოავლინა ღმერთმა ქვეყნად წარღვნა—ორი პასუხია საღმრთო წერილში: ერთი „ელოჰიმისეულ“ წყაროს ეკუთვნის, მეორე—„იაჰვესეულს“ [1].

პირველ წყაროს მიხედვით, წარღვნა იმიტომ მომხდარა, რომ „გამოეცნეს წყარონი უფსკრულისანი“ („შ. VII—11). ალბად იმ „უფსკრულისანი“, რომელიც იყო „ქვეყანასა ზედა“. წყალმა იხუვლა ამ უფსკრულიდან და ზვირთდებოდა, ემატებოდა—150 დღის განმავლობაში („შ.“ VII—24) [2].

რამდენს დღეს კლებულობდა წყალი? ამის გამოკვლევა ყოვლად შეუძლებელია, რადგან აქ წყაროები არამც თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, არამედ თვითეული მათგანი სავსეა წინააღმდეგობებით.

მაგალითად, ელოჰიმისეულ წყაროს ერთი ადგილის მიხედვით, წყალი კლებულობდა $7^1/_2$ თვის განმავლობაში („შ.“ VIII. 14). მეო-

---

[1]) „ელოჰიმისეული“ წყარო: „შექმნ.“ VI. 13—22. VII—5—9; 11; 13—15—16 (ნახევრად); 18—21: 24. VIII. 1—2 (ნახევრამდე); 3 (ნახევარი); 5. 13; 19; IX—1—17. იაჰვესეული: ყველა დანარჩენი მუხლები: VI—IX თავი „შექმნათა“ წიგნისა (იხ. ამხ. სტეპანოვის ბროშიურა).

[2]) წარღვნა დაიწყო: ექვსასსა წელსა ცხოვრებისა ნოესსა, მეორე თვესა, ოცდა მეშვიდესა თვისა დღისასა“ (VII—11). ხოლო დასასრული მისი „თვესა მეშვიდესა“... „71 დღესა“ იმა წლისა (VII—3—4), ე. ი. გაგრძელდა 5 თვეს. ცხადია, რომ 5 თვე 150 დღეს შეადგენს. მაგრამ ძველ ებრაელთა თვე უფრო პატარა იყო: თვეს ძველი ებრაელები ანგარიშობდენ მთვარეზე და მათი წელიწადი 354 დღეს უდრიდა. განსაზღვრულ დროის შემდეგ ისინი უმატებდენ 11 დღეს. ძველი ქანაანელნი და ეგვიპტელნი კი თვეს მზის მიხედვით ანგარიშობდენ და მათი თვე—30 დღეს უდრიდა. ეტყობა თქმულება წარღვნის შესახებ, ებრაელებს მათგან გადულიათ (იხ. ამხ. სტეპანოვის ბროშიურა).

რე ადგილას 5½ თვეზეა ლაპარაკი („შ.“ VIII. 13) [1]. ხოლო იაჰვესეულ წყაროების მიხედვით—წყალი კლებულობდა და დაშრა კიდევაც—სამი კვირის განმავლობაში („შ.“ VIII—10—12).

მაშასადამე, საღმრთო წერილში ერთგან ნათქვამია—წყალს ემატებოდა 150 დღის განმავლობაშიო. მეორეგან 40 დღე-ღამეო. ხოლო იმ კითხვაზე, თუ რამდენი ხნის გაამავლობაში კლებულობდა წყალი, საღმრთო წერილი სამნაირად უპასუხებს: ერთგან სწერია—3 კვირასაო, მეორეგან 5½ თვესაო, მესამეგან შვიდ თვე ნახევარსაო. გაურკვეველია აგრეთვე, რამდენი „წმინდა“ ცხოველი წაიყვანა ნოემ კიდობანში. ერთგან ნათქვამია—შვიდ-შვიდიო“ ორთავე სქესისაო („შ.“ VII. 2), მეორე ადგილას—წყვილ-წყვილიო.

ერთი სიტყვით, საღმრთო წერილმა არ იცის, როდის მოხდა, რამდენს ხანს გაგრძელდა, ან რა მიზეზით მოხდა წარღვნა.

ღმერთი არს ჭეშმარიტება. ღმერთი არს ერთი და ჭეშმარიტებაც ერთია. აქ კი ერთად თავი მოუყრია სამს ჭეშმარიტებას.

რას ნიშნავს ეს? ნუ თუ „საღმრთო“ წერილი სამის მაგივრად სტყუის? იქნებ ეს ბოროტი ზღაპარი ქვეყნის წარღვნის შესახებ ბერძნებმა მოიგონეს? მაშ უარვყოთ, უკუვაგდოთ, ამოვშალოთ იგი? მაგრამ არც ამითი ეშველება რამე საქმეს.

საქმე ისაა, რომ მთელი საღმრთო წერილი გაჟღენთილია ერთი განსაზღვრული აზრით. ღმერთი აწამებს და სტანჯავს ადამიანს იმიტომ, რომ მისი მსგავსი და „ხატი“ ფრიად უხეირო გამოვიდა. ღმერთი თავის ჯავრს ადამიანზე იყრის. თვითონ შეუქმნია იგი უხეირო და თვითონვე სჯის მას ამისათვის. ადამიანი კი უძლურია აირიდოს ის უბედურებანი, რომელსაც შემოქმედის სიყვარულით აღსავსე გული მოუვლენს ხოლმე, ეს აზრი წითელი ზოლივით არის გატარებული მთელს საღმრთო წერილში. მხეცური მოპყრობა ღვთისა ადამიანისადმი—ესაა ძირითადი თვისება ყველა თქმულებისა, რომელიც ამ მოყვასთა სიყვარულის წიგნშია მოთავსებული.

ღმერთს სძულს ადამიანი და სცდილობს ყოველმხრივ ავნოს, ყოველ საქმეში ხელი შეუშალოს. მას ეზიზღება ადამიანი მაშინაც კი, როდესაც იგი გამოიჩენს თავის სულის კეთილშობილ მიდრეკილებას.

---

[1]) წარღვნა დაიწყო: 600 წ. (ნოეს ცხოვრებისა), მეორე თვესა, 17 დღესა („შ.“ VIII. 11). გათავდა—601 წ. პირველ დღეს, 1 თვეს, ე. ი. 10½ თვე გაგრძელდა სულ („შ.“ VIII, 13). მეორე ადგილას („შ.“ VIII. 14) წარღვნის დასასრული: მეორე თვეს, 27 დღესა, 601 წ. (ნოეს ცხოვრებისა), ე. ი. 12½ თვე.

ადამიანებმა აგურის გამოწვა ისწავლეს და იწყეს მისი ხმარება შენობებისათვის ქვის მაგივრად, ხოლო ალიზისა—კირის მაგივრად („შექმნ.“ XI—3). შემოქმედების სურვილით გატაცებულებმა,—მათ მოინდომეს აეშენებინათ ქალაქი, რომელსაც ექნებოდა გოდოლი, სიმაღლით „ვიდრე ცათამდე“. ვინ იცის, რა მოგვივიდეს; ადამიანი ხომ არ არის თავის თავის ბატონი. შეიძლება უარესი შავი დღეები დაგვიდგეს და ოდესმე განვიფანტოთ „პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა“ („შ.“ XI—4). მაშინ ჩვენი საკულტურო მონაპოვარნი ხომ გაჰქრება, ვითა სიზმარი ღამისა, აღარავის აღარ მოვაგონდებითო. დაე, ჩვენ მიერ აგებული კოშკის მწვერვალი ღრუბლებს ეხებოდეს, დაე მისი შემყურე გახდეს მთლად სამყარო, დაე, ადამიანებმა ისწავლონ ჩვენგან და მოგვბაძონ ჩვენ. დაე, იყოს იგი გოდოლი ძეგლი დიდებისა და ძლევამოსილებისა ადამიანის გონებისათვის, დაე სარგებლობა მოუტანოს მან მომავალ თაობასაო,—ამბობდენ ადამიანები.

და იწყეს გაცხარებული მუშაობა.

აღელვებულმა ღმერთმა თავის ტახტზე მოუსვენრად ბორგვა იწყო. „გარდამოვიდა უფალი ხილვად ქალაქისა და გოდოლისა,“ უნდოდა ახლო დაეთვალიერებინა იგი (XI—5). მოხუცი იყო უკვე მაშინ მამა უფალი, და თუ არ ახლო უსათვალეოდ ვერაფერს დაინახავდა. ამიტომ ჩამოვიდა იგი ზეციდან.

სახეზე ალმური აუვიდა მამა ღმერთს სიბრაზისაგან, მოიწვია დანარჩენი ელოჰიმები და წინადადება მისცა: აი, ერთი ხალხი, ყველა მათ ერთი ენა აქვთ. „მოვედით, გარდავიდეთ, და შეურევნეთ მათ ენანი მუნ, რათა არ ესმოდის მუნ თვითეულსა ხმა მოყვასისაო“ (XI—6—7).

სთქვეს და შეასრულეს კიდეეაც.

ველარა გაუგეს რა ერთმანეთს ადამიანებმა, იწყეს ჩხუბი და დავიდარაბა.

გაუგებრობამ მტრობა დაჰბადა, მტრობამ ბრძოლა. მშვიდობიანმა ადამიანებმა თავი დაანებეს ქალაქის შენობას (XI—8), იწყეს მახვილთა ლესვა.

და იწყო სისხლის ღვარებმა დენა.

ღმერთებმა თავისი გაიტანეს.

ღმერთებმა წაართვეს ადამიანებს მათი ენა, ყველასათვის გასაგები, რომლის საშუალებითაც წესრიგი, თანხმობა და მშვიდობა იყო ქვეყნად დამყარებული. ღმერთებმა წაართვეს მათ ასეთი ძვირფასი

იარაღი კულტურისა, დაამსგავსეს ისინი პიროტყვებს, რომელთაც ერთმანეთისა არა ესმით რა, ღმუიან, კბილებს ილესენ და თმები ებურძგნებათ ერთმანეთის შეხვედრაზე.

აიჯაგრა ფოლადის მახვილთა და შუბთა ტყე ადამიანთა შორის და ენა გადიქცა ბოროტების იარაღად.

გაჩნდა და გაღვივდა ნაციონალური ბრძოლა, რომელმაც მთლად ძირიან-ფესვიანად შესცვალა ადამიანის ცხოვრება. კეთილი საქმე შექმნეს ღმერთებმა. და თუ ადამი კატორღაში გაგზავნით დასაჯეს, ეხლა ღმერთები იწყებენ პროვოკაციას, ჰბადებენ მათ შორის შუღლს, ჰყოფენ მათ ერებად" (ლუნაჩარსკი „რელიგია და სოციალიზმი," ტ. I, გვ. 36)—ერთმანეთზე აქეზებენ ხალხს.

აი, რა ხულიგანურ საქციელს მიაწერს საღმრთო წერილი ღმერთს.

მისი მიხედვით, ღმერთი უფალი იქცევა, ვითარცა გაფუჭებული, ზნე-წამხდარი მოწაფე: შეხედე, ჩემი მეზობელი რა ლამაზად სწერს—მოდი ხელსა ვკრავ, იქნებ რვეულზე მელანი გადააქციოსო.

ასევე იქცევა უფალი: შეხედეთ, რა კარგად მუშაობენ ადამიანები; ჰნახეთ, ერთი, რა გოდოლი აუშენებიათ—აბა, მიყურეთ, როგორ მოვუშალო ყველაფერიო.

ქუჩის ბიჭების საყვარელი გართობა ძაღლების ერთმანეთზე მისევაა. ღმერთი უფალი კი ერთმანეთს უსევს ადამიანებს და შუბლით ერთმანეთს ახეთქებს. ღვთის კიდევ მრავალ სხვა ველურობასა და უმართებულობაზე მოგვითხრობს საღმრთო წერილი.

ყოვლად შემძლებელია ღმერთი— კაი ადამიანების შექმნა კი ვერ მოუხერხებია. და მერე იცით, რითი მართლულობს იგი თავს? მე აზარდაცარ მომსვლია, რომ ადამიანები ამისთანა სიბილწეთა შექმნას დაიწყებდენო (იერემია, XXXII, 35).

იგი ყოვლად შემძლებელია—ეშმაკი კი სჯობნის; ყველა ადამიანები ცოდვილნი არიან, მართალი აღარავინაა. ყოველგან სუფევს უფალი—ის კი არ იცოდა, რომ არამზადას (ადამს) ჰქმნიდა, ისეთს არამზადას, რომელმაც შემდეგ ცხვირწინ „ხისა ცნობადისა" ნაყოფი ჭაცალა. ყოვლად კეთილია ღმერთი—მისი მოქმედება კი მხოლოდ ადამიანთა ტანჯვა-ვაებისაკენაა მიმართული. გააჩენს მახინჯებს და მერე წარღვნას მოუვლენს, სიამოვნებას გრძნობს, როდესაც ლეკვებივით ილრჩობიან ადამიანები წყალში. თითქოს იცის, რომ არამზადებს ჰქმნის, ძალა კი არა აქვს, ამ ხელობას თავი გაანებოს... თითქოს იმიტომ რომ ჯავრის ამოყრა შესძლოს ვიზედმე.

კვნესის მსოფლიო. სისხლის ცრემლად იღვრებიან ადამიანები — და ყველაფერ ამაზე ამბობენ — ღვთის ნებაა, მას ასე ჰსურსო. მაგრამ ეს რაა. ეს უბედურება მხოლოდ აქ, სააქაოს მოგვევლინება. უარესი მოგველის საიქიოს. როდესაც მსოფლიო თავის არსებობას მოსპობს, აი, მაშინ ექნება ღმერთს სიამ-ტკბილობა. მაშინ დაიწყება მარადიული ტანჯვა. მაშინ უფალი ჩვენი ყველა დაბმულ ეშმაკებს აუშვებს და ეტყვის: ეცით, თქვენი დრო დადგა: დასწვით ნელ ცეცხლზე, კუპრში მოხარშეთ, ყურში ტყვია ჩაასხით, გახურებული შანთით ჰგვემეთ, ტყავი გააძრეთ და სხვ. სწორედ მაშინ დაიწყებენ ადამიანები სიმწრით კბილების კრაჭუნს, სიმწრის ოფლი მოედინებათ და ბლავილს დაიწყებენ. სწორედ ამას უმზადებს მათ ღმერთი უფალი. სწორედ ესაა „ღვთის სამყაროს" მთელი არსებობის საბოლოო მიზანი.

მართლაც და რა არის ეს საღმრთო წერილი (კერძოდ „დაბადება" ბიბლია), რომელიც ასეთ საშინელ ცნობებს აწვდის ადამიანებს ღვთის შესახებ?

საღმრთო წერილი ეს ის ხურჯინია, რომელმაც რამდენიმე პატრონი მოინელა და ხელიდან ხელში გადადიოდა. და ყველა, ვისაც იგი ხელში უვარდებოდა, იმით სტენიდა მას, **რაც თვითონ მოსწონდა.**

რამდენიც თავი იყო, იმდენი გონება. რამდენი თავი იყო, იმდენი სხვადასხვა წარმოდგენა ღმერთისა.

ყველას თავისებურად ესმოდა ყველაფერი. ყველა თავის ადლით ჰზომავდა. ყველა თავის ქეიფის დაგვარად სცრუობდა... და მივიღეთ ბოლოს „სიტყვა უფლისა".

ჩვენს ველურ-წინაპართა ხელიდან საღმრთო წერილი მემკვიდრეობით მიიღეს მართლმადიდებელმა ხუცებმა. მას აქეთია, სჩხრეკენ მას, ეგებ ამ აბდა-უბდაში რაიმე გავარკვიოთო. და მათი „ბრძნული" ჭკუით სწყდება დიდი საკითხები: რა არის მასში წმინდა და რა არის უკუსაგდები. ღმერთი არ გაგვიწყრეს, ერთმანეთში ვრა ავურიოთ რა! სანაგვეში არ ვუკრათ თავი მას, რაიც საკურთხეველში დასვენების ღირსიაო.

მრავალი „საღმრთო" დოკუმენტი დასწვა ხუცების ხელებმა ამ მიზნით: დასწვეს სახარება პეტრე მოციქულისა, ფილიპესი, იაკობის, თომასი — ჩვენ ვიცით, რომ იქ მართალი არა სწერია რაო. დასწვეს და ჭეშმარიტება მაინც ვერ აღმოაჩინეს.

დაე სჩხრიკონ, დაე ეძებონ!

„ოფლითა პირისა თვისითა დაე ჭნაყონ წყალი! სულ ერთია, არაფერი გამოუვათ. ტყუილად, ამაოდ ჩაივლის მათი შრომა.

და უკვე ახლოა დრო, ოდეს მათ შეშოესმებათ გამარჯვებულ პროლეტართა მრისხანე შეკითხვა:

„სად ბრძანდებოდით თქვენ, რას აკეთებდით თქვენ მაშინ, როდესაც მუშები იბრძოდენ, რათა მოეპოვებინათ ადამიანურად ცხოვრების უფლება?“

თქვენ საღმრთო წერილის კითხვაში იყავით გართულნი. ისე გეჭირათ თავი, თითქოს ჰეშმარიტების მძებნელნი ყოფილიყავით, ნამდვილად კი ხელს გვიშლიდით ჩვენ მოგვეპოვა იგი, ხელს გვიშლიდით მისთვის ბრძოლაში. თქვენ უკან დაბრუნებისაკენ, მოთმინებისა, მორჩილებისა და მონობისაკენ ეძახდით მშრომელთ და სწამლავდით მის გონებას სარწმუნოების ბანგით.

განვედით ჩვენგან. ჩვენ თქვენ არ გიცნობდით. თქვენ ხელი არაფერზე გაქვთ აქ. მოიმკეთ, რაც დაგითესიათ!

და შეძრწუნდებიან მაშინ ყველა ექსპლოატატორები და მუქთა-ხორები: გაზომილი და აწონილი იქნება ძველი სამეუფო ძალმომრეობისა, სიცრუისა და სიყალბისა.

მისი დღენი დათვლილია: „მენე, თეკელ, ფარეს“.

მთელი ქვეყნიერების ბედი მუშათა კლასის ხელშია.

და იგი მიწასთან გაასწორებს, აღგვის პირისაგან მიწისა ბნელეთის მოციქულთა სამეუფოსა და საბატონოსაც.

27. ი. ალექსეევი—ცხოველთა და ადამიანთა წარმოშობა.
28. ფ. მერინგი და პ. ლაფარგი—ფრ. ენგელსი.
29. გ. პლეხანოვი—მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
30. მარქსი და ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი დ. რიაზანოვის კომენტარიებით.

მზადდება დასაგეჭდად:

31. ნ. ბუხარინი—იმპერიალიზმი და მსოფლიო მეურნეობა.
32. გ. კუნოვი—წარმოშობა რელიგიისა და ღვთისადმი რწმენისა.
33. გ. პლეხანოვი—მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
34. ნ. ბუხარინი—თეორია ისტორიული მატერიალიზმისა.
35. სტუჩკა—რევოლიუციური როლი უფლებისა და სახელმწიფოსი.
36. სტუჩკა—მეცნიერება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფოსა და კონსტიტუციაზე.
37. გ. დევილი—მეცნიერული სოციალიზმი.
38. ი. სტალინი—კრებული წერილებისა ეროვნულ. საკითხთა შესახებ.
39. ვოლფზონი—სოციოლოგია.
40. ლაფარგი—შრომა და კაპიტალი.